ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 27 დეკემბერი, 2022 | №255 (9033) | ფასი: 80 თეთრი

პატიმრობა შეეფარდა ბრალდებულს, რომელიც არასრულწლოვანს მოწყალების თხოვნასა და ნივთების ქურდობას აიძულებდა

გვ.5

გვ.5

სპეციალური საგამოძიებო სამსახური სამხარაულის ეროვნულ ბიუროში დანიშნულ მიხეილ სააკაშვილის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ექსპერტიზასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

„ოცნება“ სააკაშვილს უკრაინაში არ გაუშვებს“

გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „ქართული ოცნების“ რეიტინგი არ იმატებს, მაგრამ მათ მაინც უკავიათ მყარი პოზიციები, ოპოზიციის რეიტინგი კი კატასტროფულად იკლებს“

გვ.3

სოსო ცინცაძე: „რუსეთ-უკრაინის ომი შეიძლება წლები გაგრძელდეს“

„სალომე ზურაბიშვილი ისტორიული დილემის წინაშე დგას“

ანა წითლიძემ შიმშილობა შეწყვიტა

გვ.2



გვ.3

ირაკლი ზარქუა: „ჩემთვის მარიამ ჯიშკარიანი ექიმი არ არის, ნაცია გამომეტყველებით“

„მივმართავთ მეხუთე პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილის გადასარჩენად კონსტიტუციით მინიჭებული უფლება გამოიყენოს“

გვ.3

იცვლება თუ არა პუტინი რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობაზე?

გვ.4

გვ.4

ირაკლი ღარიბაშვილი: „ყველა ქვეყნის სუვერენიტეტს პატივს ვცემთ, მაგრამ ყველაზე მეტად გვიყვარს ჩვენი ქვეყანა“

1993230720223

5 სად მოკლა მანქანის ხელოსანმა ცოლ-ქმარი

2 პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ახალ წლამდე დაგეგმილი ყველა ოფიციალური ღონისძიება გააუქმა

5 12 წლის მოზარდმა თანამზრახველებთან ერთად ოჯახური წყვილი მოკლა და გაძარცვა

6 რვა მოსწავლემ უსახლკარო სასმელის გამო მოკლა

„ოცნება“ სააკაშვილს უკრაინაში არ გაუშვებს“

თორნიკე შარაშენიძე: „ქართული ოცნების“ რეიტინგი არ იმატებს, მაგრამ მათ მაინც უკავიათ მყარი პოზიციები, ოპოზიციის რეიტინგი კი კატასტროფულად იკლებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, შევაფასოთ გასული 2022 წელი. ბევრი მნიშვნელოვანი რამ მოხდა. როგორ აფასებთ შიდა თუ გარე პოლიტიკურ საკითხებს? წელი მთავრდება და კანდიდატის სტატუსი კვლავაც არ გვაქვს. არის „ოცნება“ ამ რეკომენდაციების შემსრულებელი, უნდათ ევროპა?

– „ოცნება“ უარს არ იტყვის ევროპაში ინტეგრაციაზე. ამაში დარწმუნებული ვარ. თუმცა ის, მეორე მხრივ, პრიორიტეტების მიხედვით ალაგებს სიტუაციას. მოსახლეობის დიდ ნაწილს უფრო ეშინია რუსეთთან ომის. ხალხს ომის შიში აქვს. ვინაიდან „ოცნება“ ამ მხრივ წარმატებულია, მას შეუძლია, მშვიდად გადააგოროს ეს პერიოდი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უარი უთხრეს კანდიდატის სტატუსზე, განსხვავებით მოლდოვისა და უკრაინისგან, მაგრამ „ოცნების“ ხელისუფლებას ისევ და ისევ შეუძლია თქვას, რა გირჩევნიათ, უკრაინა იყოს სტატუსით თუ საქართველო სტატუსის გარეშე?! ჯერჯერობით ამ კუთხით ძლიერი პოზიციები უჭირავს ხელისუფლებას და შეუძლია, მაინცდამაინც არ იდარდოს. 12 პუნქტს ალბათ მაინც შეასრულებენ, ფურცელზე მაინც და მერე უკვე იტყვიან, ფურცელზე შევასრულეთ და, თუ არ გვაძლევს ევროპა სტატუსს, იმიტომ, რომ ომში არა ვართ. სწორედ ასე იტყვიან და ძველ ფირფიტას დაატრიალებენ. ვიღაცა ამას დაიჯერებს.

– ეს მუშაობს „ოცნების“ ამომრჩეველზე, მაგრამ მთავარ საქმეს რომ აზიანებს?

– პოლიტიკაში მთავარი ხომ შედეგია. ჰოდა, ჩვენც აქედან ვიმსჯელოთ. ფაქტია, რომ ბოლო წლები, შესაძლოა, „ქართული ოცნების“ რეიტინგი არ იმატებს, მაგრამ მათ მაინც უკავიათ მყარი პოზიციები, ოპოზიციის რეიტინგი კი კატასტროფულად იკლებს. ოპოზიცია შეცდომას შეცდომაზე უშვებს. პოლიტიკაში კი ყველაფერი ფასდება შედეგებით. შედეგებს თუ შევხედავთ, ოპოზიციას უარესი შედეგები აქვს, ვიდრე „ოცნებას“.

– კომპანია „გორბის“ მიერ შესრულებული „ოცნების“ შეკვეთილი კვლევები გამოქვეყნდა და მეორე ადგილი კვლავ ნაციონალურ მოძრაობას უჭირავს არცთუ დაბალი პროცენტით. ბევრი თვლის, რომ ეს სწორედ ხელისუფლების დაკვეთაა, რათა მის მეტოქედ ყოველთვის ნაცმოძრაობა დარჩეს.

– ალბათ უნდა, ეს მომგებიანია, მაგრამ მეორე ძალა ისედაც ხომ ნაცმოძრაობაა. რად უნდა ამას ბევრი ლაპარაკი. აბა სხვა ვინ შეიძლება იყოს მეორე? ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს ქართული პოლიტიკა დეპრესიაშია. მეორე ადგილზეა ნაცმოძრაობა, რადგან ჰყავს მიშა სააკაშვილი თავისი რეიტინგით, რომელიც არსად არ წავა. შესაბამისად, არის ეს განლაგება, რომლითაც „ოცნება“ უკვე ათი წელიწადია თამაშობს. ამით ოპერირებს მშვენივრად. ჩვენ თუ არა, იქნება ნაცმოძრაობა. აიტანეთ ჩვენი შეცდომები, თორემ ისინი მოვლენ და ჩვენზე გაცილებით უარესები არიან. ამ მოცემულობას ბევრი ხვდება, მაგრამ შეცვლის თავი არა აქვთ.

– ბოლო ერთი წელია, მთელი მსოფლიოსთვის უკრაინის ომი მთავარ თემად იქცა. ჩვენს ქვეყანაში კი ერთი წელია, მიხეილ სააკაშვილია მთავარი თემა. ამის გარდა არაფერი ხდება. ვისმენთ შეფასებებს, რომ ეს ხელისუფლებისათვის დიდი კომფორტია, ყველა პრობლემა და გაფუჭებული საქმე ამით გადაფარა.

– რა თქმა უნდა, იმდენი პრობლემაა გარშემო და ყველა მიმართულია მხოლოდ ამ საკითხზე. თუმცა მიშას საკითხი ხელისუფლებამ ხომ არ გამოიგონა? მიშა თვითონ ჩამოვიდა. არ მოუტაცებიათ უკრაინიდან. ის თვითონ ჩამოვიდა. შესაბამისად, ვერ დააბრალებენ, რომ „ოცნებამ“ დაიჭირა. დაიჭირა იძულებით. სულაც არ სჭირდებოდა „ოცნებას“ სააკაშვილი ციხეში. გაცილებით მშვიდად იყო მიშას უკრაინაში ყოფნისას. ასე რომ, ახლა ამაში „ქართული ოცნების“ დადანაშაულება, რომ მიშასაგან შექმნეს ხელოვნური პრობლემა ყურადღების გადატანის მიზნით, არასწორია. რა ექნათ? თავისი ფეხით ჩამოვიდა და...

– ჩამოვიდა და ჩასვეს, მაგრამ ახლა გაშვების შანსი რამდენად არის? რატომღაც ასეთი მოლოდინია, რომ პრეზიდენტი შეიწყალებს. თქვენ რას ფიქრობთ?

– არ ვიცი, რამდენად შეიწყალებს. რომც შეიწყალოს, ჯერ კიდევ მიმდინარეობს რამდენიმე პროცესი და ასე მარტივად არ გაუშვებენ. მე მგონი, თუ გაუშვებენ, ეს არ მოხდება უკრაინაში, ეს მოხდება ისეთ ქვეყანაში, რომელიც მას განათავსებს საავადმყოფოში, მაგრამ არ გაუშვებს თავისუფლებაზე. უკრაინაში რომ ჩავიდეს, ისინი მაშინვე გაუშვებენ. ისეთ ქვეყანაში გაუშვებენ, სადაც მოათავსებენ სამკურნალოდ, მაგრამ არ გაუშვებენ არსად. თუ მიშას გაშვება მოხდება, მოხდება მხოლოდ ამ სცენარით.

– ადვოკატებმაც დააანონსეს, რომ სასამართლო 29 დეკემბერს მკურნალობის მიზნით გაუშვებს მიშას.

– შესაძლოა, ოღონდ ეს წინასწარ უნდა შეათანხმონ გარკვეულ ქვეყანასთან. მაგალითად, შესაძლოა გერმანიაში გაუშვან და იქ უმკურნალებენ. კითხვის ნიშნები არ დარჩება. იქ ხომ ვეღარ იტყვის, გამიშვით, ვკვდებიო?!

– მიშასა და მთავარ ოპოზიციურ პარტიაზე ვსაუბრობდით. ნაცმოძრაობა არცთუ სახარბიელოდ გამოიყურება, ბოლო პერიოდია, აღარც შიდა არჩევნებზე უთქვამთ რამე. რა ელის ამ პარტიას?

– ეს პარტია იარსებებს, მაგრამ, თუ ასე გააგრძელა, ამ ტემპით, მომხრეებს სერიოზულად დაკარგავს. მუდმივი არაფერია. ახალი თაობა მოდის, რომელსაც საერთოდ არ აინტერესებს არც „ოცნება“ და არც ნაცმოძრაობა. ეს პრობლემა ნაციონალებს უფრო ურტყამს, თაობათა ცვლასთან ერთად, ამომრჩეველს კარგავს. „ოცნებას“, სხვა თუ არაფერი, ადმინისტრაციული რესურსი მაინც ჰყავს. მიშაზე ვსაუბრობდით და „ოცნებას“ ერჩია, მიშა აქ საერთოდ არ ჩამოსულიყო. ახლა ხელისუფლება ფიქრობს, ის რომ გავუშვათ, შეიძლება უარესი მოხდესო. ალბათ 24 საათი ამერიკულ არხებზე იჯდება და ილაპარაკებს, თუ როგორ წამლავდა ივანიშვილი პუტინის დავალებით. აი, რა აბრკოლებს „ოცნებას“.

– თქვენთვის რომელი უფრო ლოგიკურია დღევანდელ სიტუაციაში, პრეზიდენტი შეიწყალებს სააკაშვილს თუ ისევ სასამართლო გაუშვებს?

– სასამართლო გაუშვებს, ანუ ხელისუფლება გაუშვებს იმ ვალდებულებით, რომ დააბრუნებენ უკან ან სასჯელის ამოწურვამდე იქნება რომელიმე კონკრეტული ქვეყნის კლინიკაში, რომელთანაც შეთანხმდებიან. ეს გაშვება არანაირად არ მოხდება უკრაინაში.

– საგარეო ფაქტორებს რაც შეეხება, ევროპაში ჩვენი ნებით არ მივდივართ და ძალით გვიერთებენ დენის კაბელითო. რამდენად მნიშვნელოვანია ეს პროექტი, რომელიც უნდა განხორციელდეს, რამდენად კიდევ უფრო მეტად გვაკავშირებს ევროპასთან?

– მსგავსი პროექტი, რა თქმა უნდა, გაცილებით მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ ეს კონკრეტულია, ეკონომიკური სარგებელიც არის და პოლიტიკურიც. შესაბამისად, ჩვენ თუ გავიხსენებთ, საქართველო თავის დროზე რამ გააძლიერა და რამ დააბრუნა რუკაზე? ეს იყო მსგავსი პროექტები, ბაქო-ჯეიჰანი და ასე შემდეგ. ჩვენ გვაქვს გეოგრაფია, რომელიც წარმოადგენს ჩვენს რეალურ სიმდიდრეს და ეს პოტენციალი ჯერ ბოლომდე არ ამოქმედებულა. ეს პროექტი არის ერთ-ერთი ნაბიჯი. კიდევ უამრავი რაღაც იქნება. ამაში დარწმუნებული ვარ.

– რას იტყვით რუსეთ-უკრაინის ომზე, რამდენად იქნება ეს ზამთარი გარდამტეხი?

– ომი კიდევ გაიწელება. ამ ზამთარს არაფერი განსაკუთრებული არ მოხდება, ასე მგონია. ჩემი აზრით, მინიმუმ ერთი წელი მაინც ეს ომი კიდევ იქნება.

– რა გზავნილები ჩაიტანა ზელენსკიმ ვაშინგტონში და იქიდან რა დანაბარები წამოიღო?

– მთავარია, რა იარაღს მისცემენ. ამ შემთხვევაში მთავარია კონკრეტული დახმარება. კონგრესში ტაშისკვრა, ცხადია, კარგია, მაგრამ ყველაფერი ბრძოლის ველზე წყდება. იარაღი რამდენი იქნება? ფული რამდენი იქნება? ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი.

ანა წითლიძეს შიმშილობა შეწყვიტა

ნაციონალური მოძრაობის დეპუტატმა ანა წითლიძემ შიმშილობა შეწყვიტა. მან ექიმებს მადლობა გადაუხადა.

მისი თქმით, თავიდანვე არ ჰქონდა მოლოდინი, რომ „ჰუმანიზმისგან დაცლილი“ ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით მის მოთხოვნებს შეასრულებდა.

– მინდა დიდი მადლობა გადავუხადო იმ ადამიანს, ვინც მგულშემატკივრობდა. მინდა მადლობა გითხრათ ექიმებს. რომ არა ისინი, აქ ჯდომას და საუბარს ვერ შევძლებდი. მადლობა პარლამენტის აპარატს, ასევე, ჩემს მეგობრებს.

მე პირველივე დღიდან არ მქონდა განცდა, რომ ჰუმანიზმისგან დაცლილი ხელისუფლება ჩემს მოთხოვნებს შეასრულებდა. ეს იყო ჩემი პროტესტი იმ სიძულვილსა და ბოღმაზე, რომლითაც ცდილობს ხელისუფლება ამ 10 წლის განმავლობაში კვებოს საზოგადოება. მთელი ამ დღეების განმავლობაში მქონდა შეხვედრები მათ შორის, ხელისუფლების წარმომადგენლებთან, კომუნიკაცია მქონდა საერთაშორისო პარტნიორებთან, მქონდა შესაძლებლობა შევხვედროდი საქართველოს პრეზიდენტს, მელაპარაკა მასთან, მინდა მადლობა ვუთხრა მას ამ შესაძლებლობისთვის. ჩემი მთავარი სათქმელი იყო და არის ერთი: ჩვენ უნდა ვაშენოთ უფრო მეტი ხიდები და არა პირიქით, სიძულვილი არ არის ის, რაც ამ ქვეყანას წაიყვანს ევროპული მომავლისკენ, – აღნიშნავს ანა წითლიძე.

ცნობისთვის, ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სამკურნალოდ საზღვარგარეთ გადაყვანის მოთხოვნით, ნაციონალური მოძრაობის დეპუტატი ანა წითლიძე პარლამენტში მე-12 დღეა შიმშილობს.

წითლიძესთან ერთად 15 დეკემბერს შიმშილობა პარტიის კიდევ ორმა წევრმა – დავით კირკიტაძემ და აბდულა ისმაილოვმა დაიწყეს, 16 დეკემბერს კი მათ თემურ ჯანაშია შეუერთდა. სამივე მათგანმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო შიმშილობა უკვე შეწყვიტა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ახალ წლამდე დაგეგმილი ყველა ოფიციალური ღონისძიება გააუქმა

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ახალ წლამდე დაგეგმილი ყველა ოფიციალური ღონისძიება გააუქმა.

უწყება ამის მიზეზად „ორბელიანების სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე შექმნილ ლოგისტიკურ სირთულეებს ასახელებს“.

– ორბელიანების სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე შექმნილი ლოგისტიკური სირთულეების გამო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია აუქმებს ახალ წლამდე დაგეგმილ ყველა ოფიციალურ ღონისძიებას, მათ შორის საქართველოს ეროვნული და ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიების 2022 წლის ლაურეატების დაჯილდოების სახელმწიფო ცერემონიას.

აღნიშნული ღონისძიებების გამართვის დრო საზოგადოებას დამატებით ეცნობება, – ნათქვამია განცხადებაში.

ვარკეთილში 75 წლის მამაკაცი გაუჩინარდა

ვარკეთილში გაუჩინარებულ 75 წლამდე კაცს უკვე მეორე დღეა, ეძებენ. ოჯახის ინფორმაციით, ნიკო კვარაცხელიას მეხსიერების პრობლემა აქვს.

– გავიდა სახლიდან 25 დეკემბერს, 17:00 საათზე. აცვია შავი დუტის ქურთუკი, ასევე სპორტული მუქი ნაცრისფერი შარვალი, ატარებს სათვალეს. სავარაუდოდ, ახურავს კეპიც. თუ ვინმემ სადმე შეამჩნიეთ, გთხოვთ, დამიკავშირდეთ: 574 97 17 97, – წერს ახლობელი.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სალომე ზურაბიშვილი ისტორიული დილემის წინაშე დგას“

სოსო ცინცაძე: „რუსეთ-უკრაინის ომი შეიძლება წლები გაგრძელდეს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, პროფესორი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე წელს აჯამებს და ყურადღებას აქტუალურ პოლიტიკურ პროცესებზე ამახვილებს.

– ბატონო სოსო, როგორ შეაჯამებდით მიმდინარე წელს, რას გამოყოფდით, როგორც მნიშვნელოვანს, რომელიც აუცილებლად დატოვებს კვალს?

– უკრაინის ომი, პუტინის შეჭრა უკრაინაში აუცილებლად დატოვებს თავის კვალს და ეს მოვლენა აუცილებლად შეიტანს მსოფლიო წესრიგში კორექტივებს. უკრაინის მოვლენებმა მთელ ცივილიზებულ სამყაროში გადაფარა და დაჩრდილა ყველაფერი. ამ ომის დასრულების შემდეგ მსოფლიო სხვანაირი იქნება. შეუძლებელია, ყველაფერი ისე გაგრძელდეს, როგორც ადრე იყო. მომავალი წლები, იმის გათვალისწინებით, კიდევ რამდენი ხანი გაგრძელდება უკრაინაში ომი, სულ სხვანაირი იქნება.

– მომავალ წელს ომის დასრულებას ელოდებით?

– დღეს ამ კითხვაზე პასუხი ძალიან რთულია. ვერ გეტყვით, რომ პუტინი მზად არის ამ ომის დასასრულებლად. პირიქით, ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს პერიოდი გაახანგრძლივოს. ომი შეიძლება წლები გაგრძელდეს და ეს იქნება ყველაზე ცუდი რამ მსოფლიოსთვის. ვერც პუტინი და ვერც ზელენსკი ვერ დათმობენ პოზიციებს. ეს იქნება მათი პოლიტიკური სიკვდილი, რომ არაფერი ვთქვათ ქვეყანასა და დანარჩენ მსოფლიოზე. არ არის მარტივი მდგომარეობა. სამყარო მესამე მსოფლიო ომის წინაშე დგას.

არსებობს ასეთი გამონათქვამი – ერთი ბავშვის ცრემლად არ ღირს! ამ დროს რას ვხედავთ, ასობით ბავშვი იხოცება უკრაინაში. ამის შემდეგ პუტინის პოლიტიკასა და პუტინზე, როგორც პოლიტიკოსზე, ძალიან რთულია საუბარი. ვერ ვიტყოდი, რომ მსოფლიო ცივილიზაციამ ბედნიერი ახალი წლის ათვლა დაიწყო.

– საშინაო პოლიტიკის ასპარეზზე რას გამოყოფდით?

– ბევრ რამეს. განსაკუთრებით იმას, რომ 30 წელი ძალიან დიდი დროა იმისთვის, რათა გარდამავალი პერიოდი კიდევ გაგრძელდეს. ძალიან გახანგრძლივდა ე.წ. გარდამავალი პერიოდი. 30 წელი მთელი თაობაა. ამ ხნის განმავლობაში ვერა და ვერ შევქმენით ნორმალური, დემოკრატიული, ძლიერი სახელმწიფო, სადაც არ იქნება შურისძიება, ერთმანეთის ზიზღი და დაპირისპირება. ვერა და ვერ დავასრულეთ ველური მკვლელობები, როდესაც ქმარი ცოლს კლავს, მამა – შვილს და პირიქით. ეს სისასტიკე, სამწუხაროდ, უცხო არ არის ჩვენი საზოგადოებისთვის. პირიქით, აღმოჩნდა, რომ ძალიან ახლობელია. ეს საზოგადოებას უკან ხევს და განვითარების შესაძლებლობას არ აძლევს. ვერა და ვერ გავხდით ტოლერანტები, მიმტევებლები, რაზეც დგას ჩვენი რელიგია.

რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს, რა თქმა უნდა, აქ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მიხეილ სააკაშვილის კრიზისია. ამ შემთხვევაშიც მარტივად არ დგას საკითხი. დარწმუნებული ვარ, მიმდინარე წელს სააკაშვილის სასამართლო პროცესი არ დასრულდება და ის მომავალ წელს გადავა, რასაც ნამდვილად არ ვისურვებდი. ეს მოსამართლე არევა-ძის მდგომარეობაა და არ არის მარტივი. ის თავისი გადაწყვეტილებით ან „არგადაწყვეტილებით“ ისტორიაში შევა.

– ფიქრობთ, ამ მხრივ არც პრეზიდენტი ზურაბიშვილი გრძნობს თავს მშვიდად?

– თუკი ვინმე დღეს შექსპირისეული დილემის წინაშე დგას – ეს სწორედ სალომე ზურაბიშვილია. „ყოფნა-არ-ყოფნა“ – შევიწყალო-არ შევიწყალო?! მიხეილ სააკაშვილმა სალომე ზურაბიშვილი ისტორიული რუბიკონის წინაშე დააყენა. თუკი ისტორია ვინმეს განსჯის, ეს იქნება სალომე ზურაბიშვილის ის პასუხისმგებლობა, რომელზეც ან უარს იტყვის, ან, პირიქით, სრული პასუხისმგებლობით მოეკიდება. ვნახოთ, როგორი იქნება ქალბატონი პრეზიდენტის გადაწყვეტილება. ისე, ადამიანებს არ უყვართ დილემის წინაშე დგომა. ეს რთული ფსიქოლოგიური მომენტია. ვნახოთ, როგორი იქნება მისი გადაწყვეტილება. სააკაშვილის მდგომარეობა მხოლოდ ამ გადაწყვეტილებაზე არ არის დამოკიდებული და, როგორც ჩანს, ის ამას აცნობიერებს.

თუ მიმდინარე წელს მთლიანობაში შევაჯამებთ, ეს არ ყოფილა გარღვევების წელი. სამი სახელმწიფოდან ორმა, უკრაინამ და მოლდოვამ, ევროპული პერსპექტივა მიიღეს. საქართველოს ეს დრო გადაუვადეს. არადა, თავის დროზე ამ სამეულიდან საქართველო წინ იყო და წარმატებებიც ჰქონდა. დღეს აღმოჩნდა, რომ ევროპულ გზაზე პარალელურადაც ვერ მივდივართ. ვნახოთ, როგორ ჩავაბარებთ იმ საშინაო დავალებას, რომელიც ევროკავშირმა მოგვცა. ამ მიმართულებითაც არ ყოფილა მარტივი წელი. რაც შეეხება ეკონომიკურ გარღვევას, ეს მე არ მიგრძნია და, დარწმუნებული ვარ – არც ბევრ ამ ქვეყნის მოქალაქეს. მომავალი წელი ალბათ უფრო მოლოდინების წელი იქნება.

ირაკლი ზარქუა: „ჩემთვის მარიამ ჯიშკარიანი ექიმი არ არის, ნაცია გამომეტყველებით“

– მათ ფასი 2012 წელს გადაიხადეს და დღემდე ასეთ მდგომარეობაში არიან – „ცხელ შემოდგომას“ უწყობდნენ ქვეყანას და მიიღეს საკუთარ პარტიაში, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ირაკლი ზარქუამ ჟურნალისტებს განუცხადა.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, ზარქუას თქმით, მისი უცხო ქვეყანაში გადაყვანის საჭიროება არ არსებობს.

– მათ ფასი 2012 წელს გადაიხადეს, ქართველი მოსახლეობის უმრავლესობის წინაშე, როდესაც სამარცხვინოდ, კუდამოძუებულები გაიქცნენ, ზოგმა ქვეყანა დატოვა და დღემდე ასეთ მდგომარეობაში არიან – ცხელ შემოდგომას უწყობდნენ ქვეყანას და მიიღეს საკუთარ პარტიაში.

რაც შეეხება პატიმარ სააკაშვილს, მიუხედავად დრამატიზების, სარეკლამო კამპანიებისა და მცდელობისა, რომ რთული სურათი დახატონ, დღეს პენიტენციური სისტემა აღჭურვილია სამედიცინო სერვისებით, რომ ნებისმიერ პატიმარს, ვისაც ამის აუცილებლობა ექნება, შესაბამისი სერვისი მიიღოს, ამიტომ უცხო ქვეყანაში გადაყვანის საჭიროება არ არსებობს. რაც შეეხება სასამართლო პროცესს, დაველოდოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ, – განაცხადა ირაკლი ზარქუამ.

ამასთან, ზარქუას განცხადებით, სააკაშვილის ოჯახის მოთხოვნაზე საუბარი მას შემდეგ შეიძლება, თუ აღმოჩნდება, რომ მას კერძო კლინიკაში ვერ მკურნალობენ.

– ლაბორატორიული მასალა, რომელზე დასკვნაც ამერიკიდან ჩამოვიდა, მანიპულაციის კარგად დაგეგმილი სპექტაკლი იყო, სადაც მითითებული იყო დოზები, შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი დასაშვებ ზღვარში იყო. სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზება იყო, რომ ანალიზს აუღებდნენ, რაზეც უარი თქვა. შემდეგ, თითქოს, შეთანხმება იყო ფრჩხილისა და თმის ანალიზის ჩატარება, რაც ბოლო მომენტში გადაიფიქრეს. ისეთი პენიტენციური სისტემა გვაქვს, სადაც ნებისმიერ პატიმარს მოუვლიან და სამედიცინო სერვისებს მიაწვდიან. თუ ამას ვერ გააკეთებენ, გვაქვს შესაძლებლობა კერძო კლინიკაში გადავიყვანოთ. თუ აღმოჩნდება, რომ დაავადებას იქაც ვერ მკურნალობენ, შემდეგ შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, რაზეც ოჯახი საუბრობს. მაგრამ ახლა ამის საფუძველი არ არსებობს. ვენდობი, სასამართლო სისტემას, ექიმებს, მათ მოვუსმენთ და არა პოლიტიზებულ ექიმებს. მაგალითად, ჩემთვის მარიამ ჯიშკარიანი ექიმი არ არის, ის არის ჩვეულებრივ მიკერძოებული ადამიანი. მგონი, „ხაბეზე“ უფრო მეტი „ნაცია“ მისი გამომეტყველებით, საუბრის მანერით, ქცევით და სიტყვებით. ჩვეულებრივი „ნაცაქტივისტია“. მაპატიეთ, მაგრამ მომეცით უფლება, რომ ამ ქალბატონის არ დავიჯერო, – განაცხადა ირაკლი ზარქუამ.

„მივმართავთ მეხუთე პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილის გადასარჩენად კონსტიტუციით მინიჭებული უფლება გამოიყენოს“

„საქართველოს პარლამენტართა საზოგადოება“, სხვადასხვა მოწვევის პარლამენტის წევრები მიმართავენ საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს, გამოიყენოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება მიხეილ სააკაშვილის გადასარჩენად.

შესაბამისი წერილი მედიას პოლიტიკოსებმა ორბელიანზე, პრეზიდენტის სასახლესთან გამართულ ბრიფინგზე საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრმა, მანანა ჯეგაშვილმა გააცნო.

დოკუმენტს სხვადასხვა მოწვევის პარლამენტის 65 წევრი აწერს ხელს.

როგორც წერილშია ნათქვამი, საქართველოს მესამე პრეზიდენტი, მსოფლიო რანგის სახელმწიფო მოღვაწე, დღეს პუტინის ტყვეა.

– დღეს „საქართველოს პარლამენტართა საზოგადოება“, სხვადასხვა მოწვევის პარლამენტის წევრები შევიკრიბეთ. ჩვენ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს წერილით მივმართავთ და მე მის შინაარსს გაგაცნობთ:

საქართველოს მესამე პრეზიდენტი, მსოფლიოს რანგის სახელმწიფო მოღვაწე დღეს საქართველოს მტრის, პუტინის ტყვეა. ცენტრ „ემპათიის“ სასამართლო საექსპორტო კომისიამ, ათი ქართველი და ექვსი საერთაშორისო ექსპერტის მონაწილეობით, მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო ექსპერტიზა ჩაატარა. ასევე, სახალხო დამცველის შექმნილმა კონსილიუმმაც შეაფასა მესამე პრეზიდენტის მდგომარეობა.

დასკვნების საფუძველზე, პაციენტს ფსიქო-ნევროლოგიური, ორთოპედიული და გასტროენტეროლოგიური დაავადებები აქვს. ექსპერტების მკაცრი რეკომენდაციაა, პაციენტი სააკაშვილი უცხოეთის მაღალტექნოლოგიურ კლინიკაში სასწრაფოდ გადაიყვანონ. სასამართლოში სააკაშვილის პროცესის განხილვა ჭიანურდება, პაციენტს კი დრო ეწურება. ჩვენ, საქართველოს პარლამენტართა საზოგადოება, თავს მეორედ ვერ მივცემთ უფლებას, პრეზიდენტი მოგვიკლან. შუალედური პოზიცია არ არსებობს. დუმილი კლავს! საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, მივმართავთ საქართველოს მეხუთე პრეზიდენტს, გამოიყენოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება, მიხეილ სააკაშვილის გადასარჩენად, – ნათქვამია წერილში, რომელიც პრეზიდენტის სასახლესთან მანანა ჯეგაშვილმა წარადგინა.

მამამ შვილს სცემა – მოძალადე მშობელი დაკავებულია

რუსთავში შვილის ცემის გამო მამა დააკავეს. „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, იმ დროს, როდესაც ქალაქის ცენტრალურ მოედანზე კონცერტი მიმდინარეობდა, არასრულწლოვან შვილს მამამ დაურეკა და სახლში დროულად მისვლა სთხოვა.

გოგონამ მშობელს რამდენიმე წუთით დარჩენა სთხოვა, რა დროსაც მამამ მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ფაქტის შესახებ პოლიციას თავად მოზარდმა აცნობა და ასევე გაუმხილა, რომ გასულ თვეში მას მამამ ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა.

სამართალდამცველებმა მამა ბრალდებულის სახით დააკავეს.

ჯანდაცვის მინისტრი: „გრიპის 4-კომპონენტიანი ვაქცინის შემთხვევაში, ორჯერადად აცრის მაჩვენებელი 60%-მდე ავიდა“

– გრიპის 4-კომპონენტიანი ვაქცინის შემთხვევაში, ორჯერადად აცრის მაჩვენებელი 60%-მდე ავიდა. რაც შეეხება კოვიდის ვაქცინას, ისევ იმ ნიშნულზე ვართ, სადაც 2-3 თვის წინ ვიყავით, – ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა მთავრობის სხდომის შემდეგ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, თვის განმავლობაში კოვიდის ვაქცინების მარაგის ათვისება ხდება.

– თვის განმავლობაში კოვიდის საშუალოდ 10-15 ათასი ვაქცინაციაა და მარაგები რაც გვაქვს, იმას ვითვისებთ, – განაცხადა აზარაშვილმა.

იცვლება თუ არა პუტინი რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობაზე?

„დასავლეთს დასუსტებული რუსეთი აწყობს და რუსეთის დაშლა აშინებს“

მარიამ მჭედლიშვილი

„პეტრიოტის“ სისტემის მიღება საგრძნობ გავლენას მოახდენს ომის მიმდინარეობაზე. უკრაინელებს იმედი აქვთ, რომ სერიოზული სამხედრო დახმარება მომავალში გაეზრდებათ. უკრაინის დროებით ოკუპირებული ტერიტორიების მინისტრის ყოფილი მოადგილე გიორგი ტუკა ამაში დარწმუნებული არ არის. ამ და სხვა საკითხებზე მას უკრაინული მედია ესაუბრა.

– პრეზიდენტ ზელენსკის ვიზიტი ამერიკაში ნამდვილად შთამბეჭდავია. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სამხედრო დახმარება უკრაინის მიმართ არსებითად გაიზრდება. რა შეიძლება იყოს ეს?

– სამწუხაროდ, ამ საკითხისადმი პესიმისტურად ვარ განწყობილი. მხედველობაში მაქვს პოლიტიკური ბრძოლა დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის.

– „პეტრიოტს“ უკვე გვაძლევენ. ეს წინ გადადგმული ნაბიჯია.

– დიახ, გვაძლევენ „პეტრიოტს“, მაგრამ ამას გვაძლევს კონგრესის წინა შემადგენლობა, რომელიც მუშაობის ბოლო დღეებს ითვლის. საკითხავია, როგორ მოიქცევა კონგრესის ახალი შემადგენლობა.

– ზელენსკიმ აშშ-ში განაცხადა: თქვენ გვაძლევთ „პეტრიოტს“, მაგრამ ჩვენ მალე კიდევ ერთს გთხოვთ. კიდევ ერთი შეიძლება არ მოგვცენ?

– მინდა მჯეროდეს, რომ მოგვცემენ. აწყვეტილი თავები უკრაინაში უკვე გაჰყვირიან ცის ჩაკეტვაზე. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. „პეტრიოტის“ ერთი კომპლექსით ცა ვერ ჩაიკეტება.

– მაგრამ ჩვენ ცის ჩასაკეტად გვაქვს მოკავშირეების მიერ მოწოდებული სხვა საშუალებები.

– დიახ, რასაკვირველია.

– გჯერათ იმ ვერსიისა, რომ აშშ-სა და მთელ კოლექტიურ დასავლეთს ახლა ხელს აძლევს რუსეთის კონტროლირებადი დაშლა?

– ეს არარეალისტური სცენარია. სამწუხაროდ, დღეისათვის აშშ-სა და ჩვენი სხვა ძირითადი მოკავშირეების პოზიცია ძველია – მათ აწყობთ დასუსტებული რუსეთი. მათ კვლავინდებურად პანიკურად ეშინიათ რუსეთის ფედერაციის დაშლის. დასავლეთს აშინებს რომელიღაც ბირთვული იარაღისა და ზოგადად მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება. დასანანია, რომ დასავლეთის პოზიცია ისეთივეა, როგორიც იყო 30-40 წლის წინ.

– პოლიტოლოგ ანდრეი პიონტკოვსკის აზრით, ამჟამად ხდება რუსეთის იმპერიის ნამდვილი დაშლა და დასავლეთი ამ პროცესს ვეღარ მართავს. აქვს თუ არა არსებობის უფლება ამ ვერსიას?

– რასაკვირველია, აქვს, თუმცა მე პიონტკოვსკის ვერ დავეთანხმები იმაში, რომ

პროცესი უკვე მიმდინარეობს. კარგად მახსოვს 1990-იანი წლები, როცა რუსეთის დაშლის პროცესი გაცილებით დინამიკურ ფორმაში მიმდინარეობდა, როცა ურალში გუბერნატორმა საკუთარი ფული დაბეჭდა, თათარსტანმა და ბაშკორტოსტანმა კი თავისი ცა ჩაუკეტეს „აეროფლოტს“, გამოცხადდა შორეული აღმოსავლეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შესახებ. საბოლოო ჯამში, სწორედ ამერიკელები დაეხმარნენ მაშინდელ პრეზიდენტ ბორის ელცინს, არ ჩაძირულიყო და შეენარჩუნებინა რუსეთი ერთიანი სახელმწიფოს სახით. ამ მომენტისათვის ვერ ვხედავ პრინციპულ ცვლილებებს თეთრი სახლის პოზიციაში.

– ცნობილია საფრანგეთის პრეზიდენტის საკმაოდ არაერთგვაროვანი განცხადება იმის შესახებ, რომ რუსეთს უნდა მიეცეს უსაფრთხოების გარანტიები. როგორ გგონიათ, ხომ არ აკეთებს ის ამ განცხადებებს იმიტომ, რომ უკვე მოხდა შეთანხმება დასავლეთსა და რუსეთის ელიტებს შორის და პუტინი იცვლება რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაზე?

– არა. ამაზე ადრეა საუბარი. თეორიულად ამგვარ სცენარს მომავალში არ გამოვრიცხავ.

– თქვენი აზრით, რა იქნება რუსეთის დაშლის მთავარი ნიშნები?

– ალბათ, რუსეთის შიგნით გარკვეული პროცესების დაწყება – როცა რეგიონული ელიტები, მაგალითად, ციმბირში, ურალში, შორეულ აღმოსავლეთში დაიწყებენ კრემლის მოქმედებების მიმართ უთანხმოების ღიად გამოხატვას. ეს შეიძლება არ უკავშირდებოდეს უკრაინის ომს. ამის პროვოცირება შეუძლია რუსეთის ეკონომიკურ პოლიტიკას, დასავლეთის სასანქციო პოზიციას.

როცა პროცესი დაიწყება, მაშინ შეგვეძლება იმის თქმა, რომ პროცესი წავიდა, რომ ის მიმდინარეობს. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის გარდაუვალია და მალე დამთავრდება.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ყველა ქვეყნის სუვერენიტეტს პატივს ვცემთ, მაგრამ ყველაზე მეტად გვიყვარს ჩვენი ქვეყანა“

„ამ დიდ საქმეში ელჩების როლი განსაკუთრებულია იმ თვალსაზრისით, რომ მსოფლიოს დედაქალაქებში სწორად მივიტანოთ ჩვენი სათქმელი და საკუთარი ქვეყნის ინტერესები წარმოვაჩინოთ“

საგარეო საქმეთა სამინისტროში საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელთა ყოველწლიური შეკრება – ელჩების კონფერენცია 2022 გაიხსნა.

ქართველ დიპლომატებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა.

ელჩების კონფერენციის გახსნის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, საგარეო საქმეთა მინისტრთან ილია დარჩიაშვილთან ერთად, ქართველ დიპლომატებთან შეხვედრა დახურულ ფორმატში გამართა. მთავრობის მეთაურმა ელჩებთან ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები მიმოიხილა და მათ კონკრეტული დავალებები მისცა.

– ყველა ქვეყნის სუვერენიტეტს პატივს ვცემთ, მაგრამ ყველაზე მეტად გვიყვარს ჩვენი ქვეყანა და მთავარი ვალდებულება ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვაა, – ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა ელჩების კონფერენციის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ამ დიდ საქმეში ელჩების როლი განსაკუთრებულია იმ თვალსაზრისით, რომ მსოფლიოს დედაქალაქებში სწორად იქნეს მიტანილი ჩვენი სათქმელი და საქართველოს ინტერესები სწორად წარმოჩნდეს.

„მოგესალმებით, პატივცემულო ელჩებო, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარეე, მთავრობისა და პარლამენტის წევრებო. დიდი პატივია ჩემთვის დღეს თქვენ წინაშე გამოსვლა. მინდა, ყველას გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ თქვენი სამსახურისთვის. ვიცი, რომ თქვენ ძალიან მძიმე შრომა გიწევთ, მით უმეტეს, ამდენი გამოწვევით აღსავსე რეალობაში. ახალ სიტუაციასთან, ბუნებრივია, ჩვენ გვიწევს განსხვავებული მიდგომების გამოყენება. მინდა რამდენიმე სიტყვით თქვენთან ერთად შევაჯამო წლევანდელი წელი. მთელი წლის მთავარი მოვლენა, მთავარი პრობლემა და გამოწვევა მთელი მსოფლიოსთვის ეს არის ომი უკრაინაში, რუსეთის გაუმართლებელი სამხედრო აგრესია, რომელმაც თავდაყირა დააყენა მთელი მსოფლიო წესრიგი. მე მინდა დავეთანხმო ბატონ მინისტრს, რომ ჩვენი საელჩო და პირადად ბატონი ელჩი უკრაინაში ბოლო წუთამდე, მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნების საელჩოები ტოვებდნენ კიევს, ჩვენი საელჩო ბოლო წუთამდე ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. მე მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს საელჩოს, ჩვენს ელჩს უკრაინაში, თითოეულ თანამშრომელს. ჩვენთვის ყველასთვის დიდი გამოწვევაა დღეს მიმდინარე მოვლენები. ჩვენი გაცხადებული სურვილია, რომ ეს ომი რაც შეიძლება მალე დასრულდეს, ვინაიდან ეს ომი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ თავად უკრაინას, არამედ მთელი ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურას, ჩვენს რეგიონს და, ბუნებრივია, ამ ომს და მის შედეგებს გავლენა ექნება არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაზე, არამედ მთელ მსოფლიოზე. ამიტომ, აუცილებელია ამ კონფლიქტის, ამ ომის დროულად დასრულება. ეს არის ჩვენი სურვილი. მე მინდა კიდევ ერთხელ ვუსურვო ჩვენს უკრაინელ მეგობრებს, უკრაინელ ხალხს მშვიდობა, ამ ომის სწრაფად დასრულება. ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს მხარდაჭერას უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და მათი სუვერენიტეტის მიმართ. მე მინდა ასევე აღვნიშნო, რომ ჩვენ მაქსიმუმი გავაკეთეთ და მაქსიმუმს ვაკეთებთ იმისთვის, რომ დავეხმაროთ ჩვენს უკრაინელ მეგობრებს. ომის დაწყების დღიდან, მოგეხსენებათ, რომ ჩვენ პრაქტიკულად ყველა პლატფორმაზე ხმამაღლა მხარი დავუჭირეთ უკრაინას, მივუერთდით 400-ზე მეტ რეზოლუციას, განცხადებას, ყველა ფორმატში გამოვუცხადეთ მხარდაჭერა უკრაინას და უკრაინელ ხალხს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ, რა თქმა უნდა ჩვენთვის არ იყო სასიამოვნო და, ვთქვათ პირდაპირ, იმ განცხადებების მოსმენა, რომელსაც ჩვენ ვისმენთ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან. თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ვინაიდან ქვეყანა და მათი მთავრობა და მათი ხალხი არის ომში, ამიტომ ჩვენ ამ თემაზე არ გვსურს ზედმეტი განცხადებების გაკეთება, ამ თემის კომენტირება.

მე მინდა ერთი რამ ვთქვა, რომ ჩვენი მთავარი ამოცანა არის ჩვენი საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვა. მე არაერთხელ მითქვამს, და ჩვენ ეს ჩვენი პოლიტიკით, ჩვენი მოქმედებებით დავადასტურეთ, რომ ჩვენ, ბუნებრივია, ყველა ქვეყნის სუვერენიტეტს პატივს ვცემთ, ყველა ქვეყანას პატივს ვცემთ, მაგრამ ყველაზე მეტად გვიყვარს ჩვენი ქვეყანა და შესაბამისად, ჩვენი, ყველას, მთავარი ვალდებულება არის ჯერ ჩვენი საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვა. ბუნებრივია, ამ დიდ საქმეში თქვენი როლი არის განსაკუთრებული, ელჩების როლი, რომ სწორად მივიტანოთ დედაქალაქებში ჩვენი სათქმელი, სწორად წარმოვაჩინოთ საკუთარი ქვეყნის ინტერესები და სწორად, ეფექტიანად გავუმკლავდეთ იმ დეზინფორმაციულ კამპანიას, რომელიც მოედინება, სამწუხაროდ, არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნიდან, არამედ სხვა ქვეყნებიდანაც. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს არის ორკესტრირებული შეტევა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე. ამიტომ, ამ შეტევას, ამ დეზინფორმაციას სჭირდება ეფექტიანი, კონტრსაპასუხო მოქმედებები, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა წლის მნიშვნელოვან დადებით მოვლენად ევროინტეგრაციის გზაზე ქვეყნის წარმატება დაასახელა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მთავრობის გონივრული, თანამიმდევრული პოლიტიკის შედეგად, დღეს ქვეყანაში არათუ მშვიდობა და სტაბილურობაა, არამედ ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვს.

ირაკლი ღარიბაშვილმა შავი ზღვის ელექტროკაბელის პროექტის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ ეს სტრატეგიული პროექტი ქართული ინიციატივაა.

„ასევე მინდა აღვნიშნო ერთ-ერთი სტრატეგიული პროექტის დაწყება. რამდენიმე კვირის წინ მე ვიყავი რუმინეთში, ბუქარესტში, ეს არის ჩვენი ინიციატივა, ქართული ინიციატივა, მეგობრებო – შავი ზღვის ელექტროკაბელის პროექტი. ამ პროექტის თაობაზე მე მქონდა საუბარი შარშან, ბრიუსელში, როდესაც ერთ-ერთი ვიზიტით ვიმყოფებოდი ბრიუსელში, და მაშინ წარვადგინეთ ერთ-ერთ „ფლეგშიფ“ პროექტად, როგორც იტყვიან. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო აქტიური მოლაპარაკებები ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან, ჩვენს მეზობელ, მეგობარ სახელმწიფოსთან, აზერბაიჯანთან, და, ბუნებრივია, რუმინეთთან, რომელიც ასევე ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარი სახელმწიფოა, და ჩვენ შემდეგ უკვე ახალ ეტაპზე გადავედით რუმინეთთან ერთად, დავიწყეთ უფრო აქტიური მუშაობა ამ პროექტის განხორციელებაზე. მოგეხსენებათ, რომ ამ პროექტს შეუერთდა აზერბაიჯანი და სრული მხარდაჭერა გამოგვიცხადა ევროკავშირმა, ასევე პროექტს შეუერთდა უნგრეთი, და მიგვაჩნია, რომ ეს იქნება ერთ-ერთი ხელშესახები, სტრატეგიული მნიშვნელობის, ისტორიული, მე, არ მოვერიდები ამ სიტყვის გამოყენებას, პროექტი რომელსაც ჩვენ ყველანი ერთად განვახორციელებთ. ბუნებრივია, შემდეგ ეს ყველაფერი აისახება ჩვენს ქვეყანასა და ხალხზე, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა ელჩებს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მთავრობა მაქსიმუმს აკეთებს საელჩოებისა და საელჩოებში დასაქმებული თანამშრომლების სოციალური მდგომარეობის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად.

სვერთაშორისო

დონბასში ბრძოლები გრძელდება

ბახმუტთან და ავდეევკასთან მარცხის შემდეგ რუსეთმა დონბასის ქალაქების დაბომბვა გააძლიერა. თანახმად ცნობისა, ოკუპანტებმა კრამატორსკის პრომზონა დაბომბეს.

უკრაინელმა მეომრებმა მოიგერიეს მტრის შეტევები ჩერვონოპოპოვკასთან, სოლედართან, მარინკასთან, უგლედართან. დონბასში ვითარება მძიმეა, მაგრამ – კონტროლირებადი.

ოკუპანტებმა ხერსონი დაბომბეს

დაძაბული ბრძოლებია უკრაინის სამხრეთშიც. რუსებმა ხერსონთან დესანტის გადმოსხმა ცადეს. უკრაინელებმა საპასუხო კონტრშეტევა განახორციელეს. შედეგად დესანტი განადგურებულ იქნა.

მარცხით გაბოროტებულმა ოკუპანტებმა ხერსონს ქვემეხები დაუშინეს. რუსები სპეციალურად უმიზნებდნენ ენერგოობიექტებსა და საცხოვრებელ სახლებს. ქალაქში ჩაქრა შუქი. დაბომბვების შედეგად დაინგრა 14 სახლი. დაიღუპა 12 მშვიდობიანი მოქალაქე.

უკრაინული არმია რუსეთის ტერიტორიაზე დარტყმებს განაგრძობს

განხორციელდა სარაკეტო დარტყმები კურსკისა და ბელგოროდის ოლქებში არსებულ სამხედრო აეროდრომებზე. ეს აეროდრომები განადგურებულია.

საქმე მხოლოდ ამით არ შემოიფარგლა. უკრაინულმა უპილოტო თვითმფრინავებმა განახორციელეს დარტყმა სარატოვის ოლქის ქალაქ ენგელსზე. შედეგად აფეთქდა ადგილობრივი სამხედრო აეროდრომი. დაიღუპა ოთხი რუსი სამხედრო.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში დანაკარგები იზრდება. თანახმად უკრაინის გენშტაბის ცნობისა, დღეისათვის სურათი შემდეგია:

ტანკები – 3.011; თვითმფრინავები – 283; ფრთოსანი რაკეტები – 653; გემები – 16.

განადგურებულია 102.050 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპეციალური საგამოძიებო სამსახური სამხარაულის ეროვნულ ბიუროში დანიშნულ მიხეილ სააკაშვილის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ექსპერტიზასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსგან საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ექსპერტიზასთან დაკავშირებით მიღებული პასუხის გასაჯაროების გადაწყვეტილება მიიღო.

განცხადების თანახმად, მიხეილ სააკაშვილის შესაძლო მოწამვლის თაობაზე საჯაროდ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა საკითხის შესწავლა დაიწყო და გამოტანილ იქნა დადგენილება ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე, ხოლო ხოლო ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ დამატებითი კვლევის ნიმუშის წარდგენა მოითხოვა, თუმცა საგამოძიებო ორგანომ ყველა სახის ნიმუშის აღებაზე მიხეილ სააკაშვილისგან და ადვოკატისგან უარი მიიღო.

ამის შესახებ საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

– გვსურს, გამოვეხმაუროთ უკანასკნელი დღეების განმავლობაში, საჯაროდ გაკეთებულ განცხადებებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დანიშნულ მიხეილ სააკაშვილის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ექსპერტიზასთან დაკავშირებით.

განვმარტავთ, რომ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, მიხეილ სააკაშვილის ორგანიზმში მძიმე მეტალების და მომწამვლელი ნივთიერებების შესაძლო არსებობის თაობაზე ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა აქვს დანიშნული. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამსახურს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსგან მიღებული აქვს ოფიციალური პასუხი, რომლის თანახმადაც აღნიშნულ დაწესებულებაში შესაძლებელია ნებისმიერ ბიოლოგიურ (და არაბიოლოგიურ) ობიექტზე ჩატარდეს მძიმე მეტალებზე გამოკვლევა.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, მიხეილ სააკაშვილის შესაძლო მოწამვლის თაობაზე, საჯაროდ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა აღნიშნული საკითხის შესწავლა დაიწყო. 2022 წლის 2 დეკემბერს, საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში, მიხეილ სააკაშვილისგან აღებული იქნა ბიოლოგიური კვლევის ნიმუშები, რის საფუძველზეც იმავე დღეს გამოტანილ იქნა დადგენილება ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე.

გამოძიების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ დამატებითი კვლევის (სისხლი) ნიმუშის წარდგენა მოითხოვა, რაზეც მიხეილ სააკაშვილმა და ადვოკატებმა უარი განაცხადეს. რა დროსაც ადვოკატების მიერ კეთდებოდა განმარტება, რომ აღნიშნული ექსპერტიზის ჩატარება შესაძლებელი იყო მხოლოდ თმის და ფრჩხილის ნიმუშებზე.

საგამოძიებო ორგანომ ადვოკატების ეს მოთხოვნა გაითვალისწინა, შესაბამისი კონსულტაციები გაიარა ექსპერტიზის ბიუროსთან, რის შემდეგაც დამატებით მოთხოვნილი თმის და ფრჩხილის ნიმუშების აღების და ექსპერტიზისთვის გადაგზავნის თაობაზე მზადყოფნა გამოითქვა, თუმცა საგამოძიებო ორგანომ ყველა სახის ნიმუშის აღებაზე მიხეილ სააკაშვილისა და ადვოკატისგან უარი მიიღო.

აღნიშნულ საქმეზე სპეციალური საგამოძიებო სამსახური ღიად და გამჭვირვალედ აგრძელებს გამოძიებას და გააკეთებს ყველაფერს, რომ გამოძიების წინაშე არსებულ ყველა შეკითხვას, ამომწურავი და დასაბუთებული პასუხი გაეცეს. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, გამოძიების პროცესში, მიხეილ სააკაშვილის ადვოკატებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი, რომ ყველა ჩატარებულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებს გაეცნონ და სისხლის სამართლის საქმის მასალებთან ჰქონდეთ წვდომა.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება, გაასაჯაროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსგან მიღებული პასუხი, – ნათქვამია ინფორმაციაში.

პატიმრობა შეეფარდა ბრალდებულს, რომელიც არასრულწლოვანს მოწყალების თხოვნასა და ნივთების ქურდობას აიძულებდა

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

პროკურატურის ცნობით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა სარგებლის მიღების მიზნით 12 წლის არასრულწლოვანი გადაიბირა და შრომით ექსპლუატაციას უწევდა მას.

– ბრალდებული მუქარით და ფსიქოლოგიური ზეწოლით დაზარალებულს აიძულებდა თბილისის ქუჩებში მოწყალების მოთხოვნას და სხვადასხვა წვრილმანი ნივთების ქურდობას. აღნიშნულის შედეგად შეგროვებულ თანხას კი თავისი შეხედულებისამებრ განკარგავდა.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143 სეკუნდა მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარედგინა, რაც სასჯელის სახით 14-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – ნათქვამია განცხადებაში.

უწყების ცნობით, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

სად მოკლა მანქანის ხელოსანმა ცოლ-ქმარი

„კურიერმა“ ცოლ-ქმრის მკვლელობის საქმის ახალი დეტალები გაარკვია. ცოლ-ქმარს ფასანაურში 2 დღის განმავლობაში ეძებდნენ. ბრალდებულს, რომელიც მანქანის ხელოსანია, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეუფარდეს.

ადვოკატი ამბობს, რომ დაკავებული თავს დამნაშავედ არ ცნობს და საქმესთან მხოლოდ ირიბი შემხებლობა აქვს, ამიტომ, არ გამორიცხავს, მისი დაცვის ქვეშ მყოფს, რომელიც დუმილის უფლებას იყენებს, წარდგენილი ბრალის კვალიფიკაცია შეეცვალოს.

„კურიერმა“ იპოვა ადგილი, სადაც გავრცელებული ინფორმაციით, 40 წლამდე მამაკაცმა ცივი იარაღით ცოლ-ქმარს სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა, შემდეგ კი კვალის დაფარვის მიზნით იქვე მდებარე თხრილში მოათავსა.

„კურიერი“ ესაუბრა თვითმხილველებს, რომლებიც შეესწრნენ თუ როგორ მუშაობდნენ ადგილზე სამართალდამცველები და როგორ გადაასვენეს ექსპერტიზის ბიუროში ცოლ-ქმრის ცხედარი.

ადგილი, სადაც სასტიკი დანაშაული მოხდა, მდებარეობს თბილისის ერთ-ერთ უბანში, მიტოვებულ ადგილას. ადგილობრივების ცნობით, დამნაშავემ 35.000 დოლარი წაიღო.

მოკლულთა ოჯახი ახლა გამოძიების შედეგებს ელოდება. „კურიერი“ ესაუბრა დიანა ბუჩუკურის დას. ქალი კონფლიქტის მიზეზებზე საუბრობს. მისი თქმით, მისმა სიძემ და დამ სოლიდური თანხა გადარიცხეს იმის გამო, რომ რამდენიმე ავტომობილი შეეძინათ, თუმცა ადგილზე მისულებს მათ მანქანები უკვე აღარ დახვდათ.

– ინტერნეტში ნახა მანქანები. რამდენიმე მანქანა უნდა შეეძინა. სახეზეც ეტყობოდათ წამების კვალი, დანით არიან დახოცილები და შემდეგ ჭაში ჩაყარა და გადამალვის მიზნით ქვები დააყარა. ჩემს დას ძალიან ჰქონდა დაზიანებული სახე, მთლიანად ჰქონდა ჩამტვრეული სახის ძვლები, – ამბობს გარდაცვლილის და.

ბრალდებული ამ ეტაპზე დუმილის უფლებას იყენებს.

საზოგადოება

მაია ჩხობაძე: „11 თვის მონაცემებით, ზოგადად, ტყით უკანონო სარგებლობის ფაქტებზე, ჯამში, 3.500-მდე პირია დაჯარიმებული“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურის უფროს მაია ჩხობაძის განცხადებით, 2022 წლის 11 თვის მონაცემებით, ზოგადად, ტყით უკანონო სარგებლობის ფაქტებზე ჯამში 3.500-მდე პირია დაჯარიმებული.

როგორც მან პრესკონფერენციაზე აღნიშნა, ახლოვდება ახალი წელი და ისევ პრევენციული სახის განცხადებით გამოსვლა უწევს.

– მაქსიმალურად უნდა შევიკავოთ თავი წიწვოვანი ხე-მცენარეების უკანონო მოპოვებისგან. წიწვოვანი მცენარის მოჭრა შეიძლება კერძო საკუთრებაში, სანერგე და პლანტაციურ მეურნეობებში. ბუნებრივ ნაძვის ხეს, აუცილებლად, თან უნდა ახლდეს მისი კანონიერი გზით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ ცნობას ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი უწყება გასცემს. ზედამხედველობის დეპარტამენტი 24 საათიან რეჟიმში უწყვეტად პატრულირებს წიწვოვანი მცენარეების კორომებს.

საჯარიმო სანქციები განსხვავებულია და დამოკიდებულია იმაზე, თუ სად მოიპოვეს წიწვოვანი მცენარე. მაგალითად, ტყეში მცენარისთვის ტოტები ან წვერის წაჭრა, ნებისმიერი დაზიანება, რომელიც მას აღწარმოების უნარს უკარგავს, 500 ლარით ჯარიმდება. წიწვოვანი მცენარის უკანონოდ მოჭრა 1.000 ლარით ჯარიმდება, დაცულ ტერიტორიაზე წიწვოვანი მცენარის უკანონო მოჭრა – 1500 ლარით, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე – 500 ლარით. ნებისმიერ ამ ჯარიმას ემატება გარემოსთვის მიყენებული ზიანი და ის ხარჯები, რომლებიც მფლობელმა ხის ტრანსპორტირებისთვის უნდა გაიღოს.

სამწუხაროდ, წელს საახალწლო ნაძვის ხეების მოპოვების უკვე ორი უკანონო ტრანსპორტირების ფაქტი დაფიქსირდა. წიწვოვანი მცენარის გადატანის ეს შემთხვევები სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიაზე მოხდა. სტატისტიკურად, საქართველოში მსგავსი შემთხვევების რიცხვი ჯერ კიდევ მაღალია. 2022 წლის 11 თვის მონაცემებით, ზოგადად, ტყით უკანონო სარგებლობის ფაქტებზე ჯამში 3500-მდე პირია დაჯარიმებული, – განაცხადა მაია ჩხობაძემ.

20 პირზე, რომლებმაც პენიტენციურის წარმომადგენელს „მონა“ დაუძახეს, საქმე აღძრეს

შეძახილების გამო 14 დეკემბერს საქალაქო სასამართლოსთან შეკრებილი მოქალაქეების ნაწილი პოლიციამ გამოკითხვაზე დაიბარა. მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

საქმე ეხება მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესს, რომლის დროსაც პენიტენციურმა საქმის განხილვის ერთი თვით გადადება მოითხოვა. გარეთ გამოსულ პენიტენციური სამსახურის წარმომადგენელს მოქალაქეები „მონას“ ეძახდნენ და ერთგვარი „სირცხვილის დერეფანი“ მოუწყვეს. ამის გამო საგამოძიებო უწყებამ სისხლის სამართლის საქმე 20-მდე პირის წინააღმდეგ აღძრა.

ერთ-ერთი მათგანი, დავით გალოგრე, „მთავარ არხთან“ ამბობს, რომ ხელისუფლება მოსახლეობას აშინებს.

ინდოეთი

კოჭლმა მამაკაცმა ცოლი და კატა ალმოდებული ბინიდან გამოიყვანა

61 წლის სინგაპურელმა აბდ ხამზახ მიდიმ საკუთარ ბინაში გაჩენილი ხანძრისგან მეუღლე და კატა იხსნა.

მიდის მეუღლე, 56 წლის სიტი ამინა ხამისი, სამზარეულოში იმყოფებოდა, როდესაც ბინაში ელექტროგაყვანილობის პრობლემის გამო ხანძარი დაიწყო.

– თავიდან ვიფიქრე, რომ ტუალეტს შევაფარებდი თავს, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ვერ შევძელი, ცეცხლი ბინაში საკმაოდ სწრაფად გავრცელდა, – განაცხადა ქალმა.

მიდი საერთო დერეფანში, ბინის მახლობლად იმყოფებოდა, როდესაც მიხვდა, რომ მისი მეუღლე და კატა საფრთხეში იყვნენ. კოჭლი მამაკაცი დაუყოვნებლივ შეიჭრა ალმოდებულ ბინაში.

– საშიში იყო, თუმცა ჩემთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ჩემი მეუღლე შიგნით იმყოფებოდა, ასევე მისი საყვარელი კატაც უნდა გადამერჩინა, – აცხადებს მამაკაცი.

მიდიმ მეუღლეს, რომელსაც კატა ხელში ჰყავდა აყვანილი, მალე მიაგნო, ორივე ერთად ხელში აიტაცა და ალმოდებული ბინიდან გამოიყვანა.

აღნიშნული შემთხვევის შედეგად ოჯახური წყვილის სამი მეზობელი კვამლმა მოწამლა და ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს. სავარაუდოდ ხანძარი სასტუმრო ოთახში ინვალიდისა და ხანდაზმული ადამიანებისთვის განკუთვნილი სკუტერის აკუმულატორის აფეთქებამ გამოიწვია.

12 წლის მოზარდმა თანამზრახველებთან ერთად ოჯახური წყვილი მოკლა და გაძარცვა

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატში 12 წლის მოზარდი სამ თანამზრახველთან ერთად შეიჭრა ოჯახური წყვილის სახლში, ცოლ-ქმარი დახოცა და გაძარცვა.

პოლიციის განცხადების თანახმად, ბიჭმა ძარცვა მას შემდეგ დაგეგმა, რაც შეიტყო, რომ მისმა ნაცნობმა 60 წლის იბრაჰიმ ჰანმა და მისმა ცოლმა, 55 წლის ხაჯრამ, ფული მიიღეს. ოთხმა დამნაშავემ ცოლ-ქმრის სახლის კარზე დააკაკუნა, თითქოსდა ჯართის შემგროვებლები იყვნენ. როგორც კი ხაჯრამ კარი გააღო, ორმა თავდამსხმელმა, მუკეშმა და შუბხამ, ქალი იქვე გაგუდა.

შემდეგ 12 წლის მოზარდი და მისი თანამზრახველი სახლში შეცვივდნენ და მძინარე იბრაჰიმი გაგუდეს. ამის შემდეგ დამნაშავეები მიიმალნენ და თან გაიყოლეს დაახლოებით 54 ათასი რუპია, ვერცხლის ჯაჭვი და მობილური ტელეფონი. მოკლულები მათმა ქალიშვილმა ნახა და მომხდარის შესახებ პოლიციას შეატყობინა.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა არასრულწლოვანი დამნაშავისა და მისი ორი თანამზრახველის დაკავება მოახერხეს. ამ დრომდე სანდიში მიმალვაში იმყოფება. აღსანიშნავია, რომ ბრალდებულები იარაღის შეძენასა და დამნაშავეთა სამყაროში ადგილის დამკვიდრებას გეგმავდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბახმუტზე რუსების შეტევა ჩაიშალა

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ყველაზე ცხელი წერტილი ჯერჯერობით უდავოდ ბახმუტია.

პუტინის ფავორიტი რამზან კადიროვი აცხადებს, რომ უკვე 25 დეკემბრისათვის ბახმუტზე რუსული დროშა აღიმართება!

კადიროვის იმედებიც დაიმსხვრა. ბახმუტზე მასირებული იერიში ჩაიშალა. ამის შემდეგ რუსებმა ტაქტიკა შეცვალეს. ისინი მცირე ჯგუფებად დაიყვნენ და ქალაქში შეღწევას ისე ცდილობდნენ. შედეგი უცვლელი იყო: ბახმუტთან რუსეთი ყოველდღე 500-700 ჯარისკაცს კარგავდა. აგრესორიც იძულებული გახდა, შეტევები შეემცირებინა. უკრაინელებმა ამით ისარგებლეს და ოკუპანტები ჯერ ბახმუტის გარეუბნებიდან, შემდეგ კი ახლომახლო სოფლებიდანაც განდევნეს.

რუსული მედია ამას უკრაინისათვის დასავლეთის დახმარების გაზრდით ხსნის. უკრაინამ უკვე მიიღო ამერიკული M270 MLRS, გერმანული MARS და ფრანგული LRU. ამან ბახმუტისათვის ბრძოლებში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

როგორც ცნობილია, აშშ უკრაინისათვის „პეტრიოტის“ სისტემის რაკეტების მიწოდებას დაჰყაბულდა. ეს იმას ნიშნავს, რომ უკრაინა უკვე შეძლებს რუსეთის ტერიტორიაზე დარტყმების განხორციელებას. საფრთხე შეექმნება არა მხოლოდ კურსკს ან ბელგოროდს, არამედ როსტოვს, ვოლგოგრადს, მოსკოვსა და უფრო შორეულ რუსულ ტერიტორიებსაც კი. პარადოქსია, მაგრამ დიქტატორ პუტინს ეს არ აღელვებს.

ის ფაქტი, რომ ბახმუტთან მარცხისათვის რუსეთი რევანშის აღებას შეეცდება, არავის ეჭვს არ იწვევს. გერმანული მედიის აზრით, მოსალოდნელია რუსების მასობრივი შეტევა, რომელიც სამი მიმართულებით წარიმართება: 1) სამხრეთი; 2) დონბასი; 3) ბელარუსიდან კიევზე ან ვოლინზე.

– სავარაუდოდ, რუსები მასირებულ იერიშს უკვე მომავალი წლის აპრილში დაიწყებენ, – ვარაუდობენ გერმანელი ანალიტიკოსები.

ბახმუტთან რუსები დამარცხდნენ.

აშშ-მ უკრაინის მხარდაჭერა უნდა გააძლიეროს

ამერიკელი გენერალი ბარი მაკნეფი აცხადებს, რომ რუსეთი უკრაინაზე მასირებული შეტევისათვის ემზადება. გაძლიერდება დაბომბვები. პარალელურად ამას სახმელეთო ოპერაციებიც მოჰყვება.

მაკნეფის აზრით, რაკეტა „პეტრიოტის“ ერთი ბატარეა ფრონტზე ბევრს ვერაფერს შეცვლის. აუცილებელია უკრაინისათვის რაკეტა „მიწა-ჰაერის“ მიწოდება, აგრეთვე უკრაინის მომარაგება უახლესი ტანკებითა და ავიაციით.

უკრაინამ შობა აღნიშნა

უკრაინის ავტოკეფალიურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ შობა აღნიშნა. ამის თაობაზე ცნობას ავრცელებს რადიო „თავისუფლება“.

დაწყებული საეკლესიო რეფორმის თანახმად, უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია შობას 25 დეკემბერს აღნიშნავს.

პარალელურად შედგა შეხვედრა უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარ ეპიფანესა და უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელს შორის.

მხარეები შეთანხმდნენ რიგი საეკლესიო რეფორმების გატარების აუცილებლობაზე. ამის შემდეგ ორი ეკლესია გაერთიანდება და შეიქმნება ერთიანი კიევის პატრიარქატი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

კარლოს III-მ ინგლისელებს შობა პირველად მიულოცა

დიდი ბრიტანეთის მეფე კარლოს III-მ პირველად მიულოცა ინგლისელებს შობის დღესასწაული და ქვეყნის ეკონომიკურ კრიზისზე ისაუბრა. შესაბამისი ვიდეომიმართვა იუთუბიზე სამეფო ოჯახის არხზე გამოქვეყნდა.

მიმართვის დასაწყისში მონარქმა სათანადო პატივი მიაგო დედის, ელისაბედ II-ის ხსოვნას.

– მე ვდგავარ აქ, უინძორის სასახლის წმინდა გიორგის სამრეკლოში, სადაც ჩემი საყვარელი დედა ჩემი ძვირფასი მამის გვერდით განისვენებს, – განაცხადა მეფემ.

საკუთარ სიტყვაში კარლოს III მსოფლიოში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების თემასა და ინგლისში ცხოვრების გაძვირებას შეეხო. ცნობილია, რომ წელს ქვეყანაში ინფლაციამ დაახლოებით 11 პროცენტი შეადგინა.

მონარქმა აღნიშნა, რომ ადამიანები აწყდებიან პოლიტიკურ შეუთანხმებლობას, შიმშილობასა და ბუნებრივ კატაკლიზმებს. ამის გამო ბევრს უწევს სხვადასხვა საშუალების გამონახვა ანგარიშების გადასახდელად, სახლებისა და ოჯახების გასათბობად.

შეგახსენებთ, რომ პრინცი ჩარლზი დიდი ბრიტანეთის მეფე მიმდინარე წლის 8 სექტემბერს გახდა, დედის, ელისაბედ II-ის გარდაცვალების შემდეგ.

მამაკაცმა ახლობლის რჩევა ყურად იღო და დიდი თანხის მფლობელი გახდა

ამერიკის მერილენდის შტატის მცხოვრებმა, რომელსაც ლატარიის გათამაშებაში არ უმართლებდა, 500 ათასი დოლარი მოიგო.

ქალაქ გეიტესბერგის მცხოვრებ მამაკაცს არაფრით უმართლებდა მომენტალურ ლატარიაში, სანამ ერთხელაც ახლობლის რჩევას არ ენდო და 20 დოლარის ღირებულების Bonus Bingo X20-ის გათამაშების ბილეთი არ შეიძინა.

მამაკაცმა ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკა და მიხვდა, რომ საკმაოდ მსხვილი მოგების მფლობელი გახდა.

– ეს ჩემთვის უდიდესი სიურპრიზი იყო, – აღიარა ამერიკელმა.

გათამაშების გამარჯვებულის თქმით, ის მოგებულ თანხას საკუთარ ანგარიშზე განათავსებს და შესაძლოა მისი ნაწილი სამოგზაუროდ გამოიყენოს.

სკოლის დამთავრების აღსანიშნავ ზეიმზე მის 25 მონაწილეს იატაკი ჩაენგრა

პერუში სკოლის დამთავრების აღსანიშნავად გამართული ზეიმი მას შემდეგ შეწყდა, რაც მის მონაწილეებს საცეკვაო მოედნის იატაკი ჩაენგრათ. ზეიმის 25 მონაწილე გაჩენილ ღრმულში ჩავარდა, ხოლო იქაურობა მტვრით აივსო.

აღნიშნული ინციდენტი სან-მარტინის რეგიონში იმ დროს მოხდა, როდესაც მოზარდები სკოლის დამთავრებას აღნიშნავდნენ. შემთხვევის ამსახველ ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ მხურვალედ ცეკვავენ ზეიმის მონაწილეები. ზეიმი მოულოდნელად შეწყდა მას შემდეგ, რაც იატაკში უზარმაზარი ხვრელი გაჩნდა და მასში ათეულობით მოზარდი ჩავარდა. დიჯეიმ მაშინვე გამორთო მუსიკა, ხოლო იქ მყოფები შიგ აღმოჩენილთა დასახმარებლად ჩანგრეულ ადგილას მიცვივდნენ.

იატაკის ჩანგრევის მიზეზი ამ დროისთვის უცნობია. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საცეკვაო მოედანი ფიცრებისგან იყო გაკეთებული და მან მოზარდების წონას ვერ გაუძლო. მომხდარის შემდეგ ყველა დაშავებული საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. ინციდენტის შედეგად არავინ დაღუპულა, თუმცა დაშავებულებმა სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იოსებ ტყემალაძე: „კიდევ ბევრ ისტორიულ გამარჯვებას მოვიპოვებთ“

გაიმართა საქართველოს რაგბის კავშირის (სრკ) საანგარიშო საერთო კრება, რომელსაც 34 ნამდვილი წევრიდან 31 ესწრებოდა. კრებაზე ასევე იმყოფებოდნენ გამგეობის წევრები.

კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ, აღმასრულებელმა დირექტორმა თორნიკე გოგებაშვილმა და გამგეობის თავმჯდომარე დავით კაჭარავამ, დამსწრე საზოგადოებას 2022 წლის ანგარიში ჩააბარეს; გააცნეს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მოგვიანებით ერთხმად დაამტკიცეს.

შევიდა ცვლილება სრკ-ს წესდებაში, 25-ე მუხლს დაემატა 25.4 პუნქტი, რომლის თანახმად, ერთი და იგივე პირი რაგბის კავშირის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

პრეზიდენტის ანგარიშში იოსებ ტყემალაძემ 2022 წლის მიღწევებზე ისაუბრა – ქართული რაგბის ისტორიული შედეგი, რაც ექვსი ერის ორი გუნდის: იტალიისა (ბათუმში) და უელსის (კარდიფში) დამარცხებაში აისახა; პირველი ქართული პროფესიული ფრენჩაიზის შავი ლომის წარმატება და სამომავლო პერსპექტივები; 100 ახალი სარაგბო მოედნის პროექტი; 40%-ით გაზრდილი სახელმწიფო დაფინანსება; კლუბების სპონსორების რაოდენობის ზრდა; სასკოლო რაგბის ახალი პროექტი; უპრეცედენტო სასპონსორო შეთანხმება თი ბი სი-სთან; გენერალურ სპონსორთან შეთანხმების ბოლო ეტაპი; რაგბის განვითარების ახალი დირექტორი; რაგბის საერთაშორისო სამუშაო ჯგუფი. მანვე ისაუბრა სამომავლო გეგმებზეც.

იოსებ ტყემალაძე:

– მინდა, ყველას მოგილოცოთ დამდეგი ახალი წელი და გაგაცნოთ ის სამუშაო, რომელიც ქართულმა რაგბიმ 2022 წლის განმავლობაში შეასრულა. ყველას გახსოვთ, რომ გვქონდა პრობლემები, რომელთაგან გამოკვეთილი იყო სამი ძირითადი ნაწილი – დავალიანება კავშირის ირგვლივ, ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბი, დაუგეგმავი კალენდარი და კლუბების მძიმე მდგომარეობა.

კლუბებთან მიმართებით ჩვენ შევძელით, რომ დიდი 10-ის ყველა კლუბს სტაბილურად მიეღო გაზრდილი, 800.000-იანი დაფინანსება, რაც სიმშვიდისთვის უმნიშვნელოვანესია. მომავალი წლიდან, სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით, კლუბების დაფინანსების ზრდა კიდევ იგეგმება. ეს ხელს შეუწყობს მათ მდგრადობას, წინსვლას და განვითარებას. ასევე გაორმაგდა პირველი და რეგიონული ლიგის კლუბების დაფინანსება, რისთვისაც მადლობას ვუხდი მთავრობას, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, რადგან სწორედ ის არის დაფინანსების მთავარი წყარო.

ეროვნული ნაკრები ჩვენი სახეა და ამ კუთხით თუ რამის გაკეთება შეიძლებოდა, ყველაფერი შევასრულეთ. მორაგბეების დავალიანების დიდი წილი დაფარულია, 2020 წლიდან დარჩენილ დავალიანებას კი, ვიმედოვნებ, თებერვლის ბოლომდე დავფარავთ. რა მოთხოვნაც იყო სამწვრთნელო შტაბის სრულად დაკომპლექტების კუთხით, მაქსიმალურად გავითვალისწინეთ და მსოფლიო რაგბისთან ერთად ეს პრობლემაც გადავჭერით. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დახმარებით მოხდა „შევარდენის“ ბაზის სრული რეაბილიტაცია, როგორც სასტუმროსი, ასევე მინდვრის საფარის და ამაში „ქართუმ“ 5 მილიონზე მეტი დახარჯა.

განხორციელდა ძირეული რეფორმა რაგბის კავშირში. ვაკანტურია მაღალი მიღწევების დირექტორის ადგილი და, მსოფლიო რაგბისთან ერთად, ეს საკითხიც უახლოეს პერიოდში მოგვარდება. მნიშვნელოვანია მოწესრიგდეს კლუბების სტრუქტურაც, რაშიც კავშირი ყველა მათგანს დაეხმარება. მსოფლიო რაგბისთანაც დავაყენეთ საკითხი, რომ მათაც მიიღონ მონაწილეობა ჩვენი კლუბების განვითარებაში, როგორც ტექნიკური აღჭურვილობის, ასევე ცოდნის გაღრმავების კუთხით. ჩვენ მეტ ყურადღებას დავუთმობთ ქართულ კლუბებს და დავეხმარებით მათ სტრუქტურულ ცვლილებებში, რაშიც ჩავრთავთ

გაგრძელება მე-7 გვერდზე

კალეიდოსკოპი

ქალმა კორპორატიულზე მიღებული ლატარიის ბილეთით ჯეკპოტი მოხსნა

ამერიკის კენტუკის შტატის ქალაქ ლუისვილის მცხოვრებმა ქალმა 175 ათასი დოლარი კორპორატიულის დროს საჩუქრების დარიგების შედეგად მიღებული ლატარიის ბილეთის წყალობით მოიგო.

ლორი ჯეინსი ოფის-მენეჯერად და მკურნალობის კოორდინატორად მუშაობს სტომატოლოგიურ საავადმყოფოში. მან მონაწილეობა მიიღო სადღესასწაულო წვეულებაში, რომელზეც იქ მყოფი თანამშრომლები მონაწილეობდნენ თამაშში „ფარული სანტა-ქურდი“. ეს თამაში საჩუქრების გაცვლას გულისხმობს.

ლორის პირველი არჩევანი იყო 25-დოლარიანი ბარათი, მაგრამ მოგვიანებით, თამაშის წესებიდან გამომდინარე, მისი საჩუქარი „გაიტაცა“ და მის ნაცვლად ქალს ორი ცალი ლატარიის ბილეთი ერგო. პირველმა ბილეთმა ქალს 50 დოლარის მოგება მოუტანა, ხოლო მეორე ბილეთზე დამცავი ფენის გადაფხეკის შემდეგ შეიტყო, რომ ჯეკპოტი, 175 ათასი დოლარი მოხსნა.

– ლამის ყველა გადაირია. მათ კალკულატორები მოიმარჯვეს და ანგარიში დაიწყეს. ერთიორმა კი ბილეთი რამდენჯერმე გადაამოწმა სპეციალური დანართის მეშვეობით, იმის დასამტკიცებლად, რომ მოგება რეალური იყო, – განაცხადა ქალმა. ვერც მისმა მეუღლემ და შვილებმა დაიჯერეს, როდესაც მათ დაურეკა და სასიხარულო ახალი ამბავი შეატყობინა.

ლატარიის გამარჯვებული ქალი აპირებს მოგებული თანხით ავტომობილის კრედიტი გაისტუმროს და ქალიშვილის სწავლა დააფინანსოს.

რვა მოსწავლემ უსახლკარო სასმელის გამო მოკლა

კანადის ქალაქ ტორონტოში რვა მოსწავლემ, რომლებმაც ერთმანეთი სოციალურ ქსელებში გაიცნეს, უსახლკარო მამაკაცი მოკლეს.

გოგონები მამაკაცს თავს დაესხნენ, დანა ჩაარტყეს და, პოლიციის ვერსიით, მისთვის სპირტიანი სასმელის ბოთლის წართმევას შეეცადნენ. ისინი მალევე დააკავეს დანაშაულის ადგილის შორიახლოს. დაშავებული მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მისი გადარჩენა ექიმებმა ვეღარ შეძლეს.

თავდასხმის ორი მონაწილე გოგონა 16 წლის იყო, ხოლო დანარჩენები – 13-14 წლის. დაკავების შემდეგ გოგონებს ჩამოართვეს იარაღი. სამ მათგანს ადრე უკვე ჰქონდა პრობლემები სამართალდამცავებთან.

გოგონებს მეორე ხარისხის სიმძიმის მკვლელობის ბრალდება წაუყენეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

კაკტუსი და კავკასია მდევრებს გაექცნენ

ოლიმპი-კავკასია 74:75
(16:20, 24:23, 22:16, 12:16)

ტურის მთავარი ჯახი კავკასიამ მოიგო. ამ მატჩამდე კავკასია ერთი მარცხით სუპერლიგის ერთ-ერთი ლიდერი იყო, ოლიმპმა კი ჩემპიონატის ბოლო 6 მატჩი მოიგო და, რა თქმა უნდა, წარმატებული სერიის გაგრძელებასა და ლიდერებში ანაცვლებას გეგმავდა. მატჩმაც გაამართლა იმედები. თანაბარ, უშეღავათო და უკომპრომისო მატჩში კავკასიამ 75:74 გაიმარჯვა.

დავით როგავას გაწვრთნილმა ოლიმპმა სუპერლიგაში ექვსმატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა. დებიუტანტმა კავკასიამ კი მერამდენედ დაამტკიცა, რომ დუდუ დადიანის მემორიალის მოგება და სუპერლიგაში მოპოვებული გამარჯვებები შემთხვევითობაზე მეტად კანონზომიერებაა. ბექა წივწივაძის გუნდმა კიდევ ერთი რთული გამოცდა ჩააბარა და სუპერლიგის ლიდერობას კაკტუსთან ერთად განაგრძობს.

პირველ მეოთხედში უმეტესად კავკასიელები ლიდერობდნენ, შემდეგ ანგარიში ნელ-ნელა გათანაბრდა, მცირედით ხან ერთი გუნდი დაწინაურდებოდა, ხანაც – მეორე. ბოლო პერიოდში უმეტესად ოლიმპი იყო წინ, კავკასია კი მდევრის როლში გახლდათ და გადამწყვეტი ქულები ბოლო წუთებზე მოიპოვა. თავი ისევ კავკასიელთა ამერიკულმა წყვილმა გამოიჩინა. როგორც წესი, გადამწყვეტ მომენტებში თამაშს საკუთარ თავზე კრის მაკნილი იღებს, რომელსაც დაზღვევაზე ჯასტინ ფორესტი ჰყავს. ბოლო წუთზე 3 ქულით ჩამორჩენილმა კავკასიელებმა ჩამორჩენა ფორესტის საჯარიმოებით მინიმუმამდე შეამცირეს, ხოლო დაცვაში იმავე ფორესტის ხელმარჯვეობით ბურთი ჩაჭრეს და მაკნილმა ინდივიდუალური გარღვევით კავკასია ქულით დააწინაურა.

ოლიმპს თამაშის გადასარჩენად 20 წამი ჰქონდა, კავკასიას კი, 2 გუნდური ჯარიმა. ტაქტიკურად გამართული ჯარიმებით კავკასიელებმა ოლიმპელთა შეტევები ჩაშალეს, რის შემდეგაც ოლიმპელებს გადამწყვეტი შეტევა საფინალო სირენასთან ერთად გაუცუდდათ.

გამარჯვებულ კავკასიელებს 15 ქულით ლონდარიძემ ულიდერა, საერთო სარგებლიანობით კი აიზია ელისი გამოირჩა – 13 ქულა, 9 მოხსნა. მაკნილის ანგარიშზე 12 ქულა დაგროვდა. ოლიმპში 18 ქულითა და 8 მოხსნით ლინტონ ესლაისი გამოირჩა. 15 ქულა – გიორგი ტურძილაძემ, ხოლო 14 ლუკა ლიკლიკაძემ მიითვალეს.

ქუთაისი-კაკტუსი 81:83
(30:24, 15:26, 19:22, 17:11)

იმერეთის მთავარ ქალაქში სუპერლიგის ერთ-ერთი ლიდერი კაკტუსი ჩავიდა და მასპინძლები დაძაბულ ბრძოლაში – 83:81 დაამარცხა.

რიონისპირელებს საკადრო პრობლემები აქვთ, მაგრამ „პროგრესის“ გზას ადგანან – თუ წინა შეხვედრაში ექვსი კალათბურთელით ითამაშეს, კაკტუსთან ქუთაისელები უკვე შვიდი მოთამაშით წარდგნენ.

გამარჯვება თუ არა, ოვერტაიმი ქუთაისელებს ხელში ეჭირათ, მაგრამ გუნდის კაპიტანმა და ყველაზე გამოცდილმა კალათბურთელმა ძირითადი დროის ბოლო წამზე ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ ჩააგდო. გიორგი ბარბაქაძე 81:83 ანგარიშზე კაკტუსელთა საჯარიმოში შევიდა და ხელსაც არავინ უშლიდა, მაგრამ მისი ნასროლი ბურთი რკალზე გაგორდა, კალათში არ ჩაეშვა და საფინალო სირენაც გაისმა.

ამ ეპიზოდამდე კაკტუსი დამაჯერებლად ლიდერობდა. შეხვედრის დასრულებამდე 1 წუთზე ოდნავ მეტი რჩებოდა, სტუმრები 83:76 რომ იგებდნენ, მაგრამ ბარბაქაძისა და ლუკა მაზიაშვილის ქულებით მასპინძლებმა ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირეს. კაკტუსელთა ახალმა ლეგიონერმა სედრიკ ალეიმ შეტევა გააცუდა და ქუთაისელებს გათანაბრების შანსი მიეცათ, რომელიც ბარბაქაძემ ვერ გამოიყენა და შეხვედრაც დასრულდა.

კაკტუსში ტრადიციულად ფარზე დომინირებდა ჯეისონ კოპმანი, რომელმაც ამჯერად 17 ქულა და 18 მოხსნა მიითვალა და მატჩის საუკეთესო შედეგი დააფიქსირა. 21 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა რაიან ალენმა, 17 ქულა რევაზ ჩაჩანიძის ანგარიშზე დაგროვდა. ქუთაისელთაგან 18 ქულით, 11 პასითა და 7 მოხსნით საუკეთესო იყო ჯარვის რეი, ხოლო 27 ქულით ბომბარდირი ლუკა მაზიაშვილი გახდა.

თსუ-ტიტები 89:79
(15:12, 35:31, 19:8, 20:28)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა 10 ქულის სხვაობით – 89:79 დაამარცხა ტიტები და მოგება-წაგებათა დადებითი ბალანსი შეიქმნა.

ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილ უნივერსიტეტელებს სოლიდური წინააღმდეგობა შეხვდათ, იმის მიუხედავად, რომ ტიტებს რამდენიმე მოთამაშე აკლდა და გუნდი მთლიანობაში 7 კალათბურთელით იყო. ბესო ლეჟავას გაწვრთნილმა გუნდმა როტაციის მიზნით ერთი ამერიკელი კალათბურთელი გაუშვა, რამდენიმეს კი ვირუსის გამო არ უთამაშია. ამის მიუხედავად, ტიტები მთელი პირველი პერიოდი ტოლ-სწორად ეპაექრებოდა თსუ-ს, ხოლო როცა მესამე პერიოდში უნივერსიტეტელებმა გაქცევა მოაწყვეს და მეტოქე 20 ქულით ჩამოიტოვეს (69:49), ლეჟავას გუნდი მაინც არ დანებდა და მატჩის ბოლო წუთებზე წარმატების შანსიც გამოუჩნდა.

შეხვედრის ბოლო პერიოდი ტიტებმა 12:0 გაქცევით დაიწყო და ჩამორჩენა 8 ქულამდე შეამცირა, მაგრამ თსუ-მ კვლავ პრესინგს მიმართა, შეტევაში მატჩის საუკეთესო მოთამაშე ნოდარ გოგოძემ ისევ იხეირა და უნივერსიტეტელთა უპირატესობამ ისევ სოლიდური სახე მიიღო. თსუ-მ მთლიანობაში დამსახურებულად იმარჯვა, რაშიც ლომის წილი სწორედ გოგოძეს მიუძღვის, რომელმაც 8 სამქულიანი ჩააგდო და ჯამში 29 ქულა მოინაგრა. შედეგიანი იყო მიხეილ ბერიშვილი, რომელმაც 19 ქულა, 8 მოხსნა და 4 პასი მიითვალა, გიორგი ცინცაძის ანგარიშზე კი 9 ქულა და 7 შედეგიანი გადაცემა დაგროვდა.

ტიტებში საუკეთესო შედეგი ლუკ მეიერმა დააფიქსირა – 24 ქულა, 4 მოხსნა, 4 პასი. 19 ქულა და 8 მოხსნა კვენტინ დევისმა მიითვალა. კენდრიკ პერკინსის ანგარიშზე 13 ქულა დაგროვდა.

ბათუმი-რუსთავი 87:106
(17:33, 14:34, 26:19, 30:20)

ბათუმმა რუსთავს უმასპინძლა და 19 ქულით – 87:106 დამარცხდა. სუპერლიგაში ამ სეზონში გამართული 46 მატჩიდან ეს გახლდათ ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად საინტერესო და დაძაბულობისგან შორს მდგომი შეხვედრა. პირველი ტაიმის შემდეგ მატჩის ბედი გარკვეული იყო – სტუმარი გუნდი 36 ქულით – 67:31 იგებდა და საკითხავი ისღა იყო, საბოლოოდ რა ანგარიში დაფიქსირდებოდა.

რუსთაველებმა დიდებულად ითამაშეს. ბათუმს თავიდანვე სწრაფი თამაში შესთავაზეს და ითქმის ყველა კომპონენტში მეტოქეზე უკეთესად ირჯებოდნენ. პირველი პერიოდი 33:17 დასრულდა, მეორეში ქვემოქართლელებმა 34:14 იმარჯვეს და თამაშს სპორტული ინტერესი დაუკარგეს.

რუსთაველთა წარმატების სულისჩამდგმელი ამერიკელი ლეგიონერი ტრეი კროფტი გახლდათ, რომელმაც მიმდინარე გათამაშების რეკორდი დაამყარა. აქამდე ყველაზე მეტი – 13 პასი თსუ-ელ გიორგი ცინცაძეს ჰქონდა, რომელიც კროფტმა 3-ით გაუმჯობესა. მის ანგარიშზე საბოლოოდ 28 ქულა, 16 პასი, 7 მოხსნა და 4 ჩაჭრა დაგროვდა.

კროფტმა მეორე რეკორდი საერთო სარგებლიანობაშიც დააფიქსირა. მისი სტატისტიკის ინდექსმა 45 შეადგინა, რაც 2-ით მეტია ტიტების უკანახაზელის, ლუკ მოიერის მონაგარზე. აღსანიშნავია, კრიფტთან ერთად დიდებულად ითამაშეს რუსთაველმა კალათბურთელებმა – გუგა პატაშურმა (24 ქულა), რევაზ როგავამ (18 ქულა, 9 პასი), ლუკა ბულაშვილმა (16 ქულა). მატჩის ბომბარდირი კი ბათუმელთაგან იყო – კაილი რიდლიმ 32 ქულა მოინაგრა, თუმცა თავის გუნდს ვერაფერი უშველა.

ვერა-მეგა 69:78
(23:20, 19:26, 10:16, 17:16)

ერთმანეთს თითქმის იდენტური შედეგების მქონე გუნდები – მეგა და ვერა ხვდებოდნენ. ორივეს მიმდინარე სუპერლიგაში 2 მოგება ჰქონდა და შესაბამისად, აღნიშნულ შეხვედრას თითოეულისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

გამარჯვება მეგას დარჩა. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა 78:69 გაიმარჯვა, რაც არსებულ რეალობასთან მიმართებაში ლოგიკური შედეგი გახლდათ. ვერას სერიოზული პრობლემები აქვს შემადგენლობასთან დაკავშირებით. ტრავმები გამო გუნდმა თავდაპირველად ჯეიმს ჰემპშირი მოისაკლისა, შემდეგ კი ხელი იღრძო გუნდის მთავარმა მექულემ – ჯამირ კოულმენმა, რომელმაც მეგასთან ვერ ითამაშა და დავით გასიტაშვილის გაწვრთნილი გუნდი ერთადერთი ლეგიონერის ამარა დარჩა.

ვერელები მეტოქეს პერიოდ-ნახევარი ებრძოდნენ, მაგრამ მეგამ თავისი გაიტანა. მეორე ათწუთეული მეგამ 26:19 მოიგო, მესამეში კი უპირატესობა 10 ქულამდე გაზარდა და მოპოვებული უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა.

მეგაში 20 ქულითა და 15 მოხსნით საუკეთესო იყო მარკუს გილსონი. 17 ქულა, 9 მოხსნა და 7 პასი რონი როზიეს ანგარიშზე დაგროვდა. 13 ქულით დაასრულა შეხვედრა ნიკა ჩეჩელაშვილმა. ვერელთაგან 20 ქულით საუკეთესო შედეგი მარტის კიმბრომ დააფიქსირა. 14 ქულა და 8 მოხსნა ლუკა ზაქრაძის ანგარიშზეა.

სატურნირო ცხრილი:

1.კაკტუსი	9	8	1	710-646	17
2.კავკასია	9	8	1	736-678	17
3.ოლიმპი	9	6	3	739-709	15
4.თსუ	9	5	4	732-701	14
5.რუსთავი	9	5	4	762-735	14
6.დელტა	9	5	4	717-686	14
7.მეგა	10	3	7	740-812	13
8.ბათუმი	9	3	6	763-782	12
9.ქუთაისი	9	3	6	730-777	12
10.ტიტები	9	2	7	738-776	11
11.ვერა	9	2	7	701-766	11

იოსებ ტყემალაძე: „კიდევ ბევრ ისტორიულ გამარჯვებას მოვიპოვებთ“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

საკონსულტაციო კომპანიას. ასევე კიდევ უფრო დიდი ყურადღება დაეთმობა ბავშვთა რაგბის განვითარებას.

მსოფლიო რაგბისთან ერთად ჩამოვაყალიბეთ ახალი, სპორტული კომიტეტი, რომელსაც რიჩი დიქსონი უხელმძღვანელებს. კომიტეტში ასევე იქნებიან მსოფლიო რაგბის მაღალი მიღწევების მიმართულების ხელმძღვანელი პიტერ ჰორნი, მსოფლიო რაგბის საშეჯიბრებო მიმართულების ხელმძღვანელი ნაიჯელ კასი, რაგბის კავშირის პრეზიდენტის მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობებში ლევან ღვაბერიძე, „ბორჯღალოსნების“ მთავარი მწვრთნელი ლევან მაისაშვილი, ასევე მამუკა გორგოძე და ბაჩო ხურციძე, რომელიც მსოფლიო რაგბიმ ოთხ ქვეყანაში კონსულტანტად დანიშნა და ერთ-ერთი მათგანი საქართველოა. ეს კომიტეტი აქტიურად იმუშავებს კლუბებთან, მათ შორის დიდი 10-ის რეფორმასთან დაკავშირებით.

ჩვენ გვსურდა, რომ მომავალი სეზონიდან დიდ 10-ში გუნდების რაოდენობა რვამდე შეგვემცირებინა და თითქოს კლუბების თანხმობაც იყო, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს თანხმობა არ იყო მყარი და ისევ კლუბების თხოვნით, რეფორმა გარკვეული დროით გადავდეთ. მინდა გითხრათ, რომ კავშირი არასდროს მიიღებს კლუბების სურვილის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას და, ზემოთნახსენებ კომიტეტთან კონსულტაციების შემდეგ გადავწყვეტთ, როდის განხორციელდეს ეს რეფორმა და რამდენმა გუნდმა ითამაშოს დიდ 10-ში.

ასევე მინდა, თხოვნით მივმართოთ კლუბებს – საერთაშორისო თამაშებზე გულშემატკივრების მობილიზება. ბიჭები ძალიან ბევრს შრომობენ, ასევე კავშირი ცდილობს, რომ თამაშების ორგანიზება მაქსიმალურად მიახლოებული იყოს საერთაშორისო სტანდარტთან და ამ დროს გულშემატკივარი არ მოდის. გავანებოთ თავი იმას, რომ ეს კავშირისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროა. თუ მაყურებელი არ გვეყოლება, ჩვენ ვერ შევძლებთ ექვს ერში და ჩელენჯ თასზე თამაშს, რადგან ეს არის ერთ-ერთი უპირველესი მოთხოვნა.

მნიშვნელოვანი სიახლეებია საერთაშორისო მიმართულებით. წელს გვქონდა რამდენიმე გასვლითი შეხვედრა მსოფლიო რაგბის, საფრანგეთის რაგბის კავშირის, ექვსი ერის და ევროპის პროფესიული საკლუბო რაგბის წარმომადგენლებთან, თბილისში ჩამოსული იყო მსოფლიო რაგბის უმაღლესი დონის დელეგაცია პრეზიდენტის, სერ ბილ ბომონტის ხელმძღვანელობით. ფრანგებისგან იმაზე მეტი მხარდაჭერა გვაქვს, ვიდრე ველოდით. ისინი მზად არიან, ქართულ რაგბის მხარი დაუჭირონ, იქნება ეს ექვს ერში თუ ჩელენჯ თასში ჩართვის საკითხი. მსოფლიო რაგბიც გვეთანხმება, რომ ქართულ რაგბის სჭირდება მეტი მაღალი დონის თამაშები, როგორც სანაკრებო, ასევე ფრენჩაიზის დონეზე და ამ ნაწილში სრული მხარდაჭერა გვაქვს.

იტალიასთან და უელსთან წელს მოპოვებულმა ისტორიულმა გამარჯვებებმა ქართული რაგბის მიმართ მიდგომა შეცვალა. კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ წარმატებას და, დარწმუნებული ვარ, ერთად დგომით, ერთად შრომით კიდევ ბევრ ისტორიულ გამარჯვებას მოვიპოვებთ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ესპანური შემაგრებული ღვინო; 2. ქალის როლების შემსრულებელი მსახიობი მამაკაცი იაპონურ თეატრში; 3. კუთხე საქართველოში; 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ლიეტუვაში; 8. ბერ-მონაზონთა საეკლესიო, საადგილმამულო კომპლექსი; 9. მკვეთრად გამოხატული სხვაობა; 11. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი; 12. ფულის ერთეული იაპონიაში; 14. მრავალსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. ერთგვაროვანი საგნების სისტემაში მოყვანილი კრებული; 17. მდინარე ბოლნისში; 19. ავსტრიელი ექიმ-ფსიქიატრი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი; 21. შვედური ავტომობილი.

თარაზულად: 5. ქუჩის მუსიკოსთა სახელწოდება საფრანგეთში; 6. გაუთლელი ხის მორებით ნაგები ხის სახლი სამეგრელოში; 7. ოთარ იოსელიანის მხატვრული ფილმი; 10. რკინიგზის ვაგზლის ბაქანი; 13. სახელმწიფო ჩრდილო ამერიკაში; 15. ბილიარდის ერთ-ერთი სახეობა; 18. მადნის, ქვიშის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 20. ქალაქის თვითმმართველობის შენობა ევროპის ზოგიერთ ქალაქში; 22. უმაღლესი ფარმაცევტული განათლების მქონე წამალთმცოდნე; 23. დიდი ზომის სარეკლამო პლაკატი; 24. ვერტმფრენის ძველებური სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პრერია; 2. ოპტიკა; 3. კანტე; 5. დოღი; 6. კაჭიჭი; 8. სიესტა; 11. ანჩისხატი; 13. ზინდანი; 14. ბალასტი; 15. ფილიპსი; 19. თუნი.

თარაზულად: 1. პინაკოთეკა; 4. ბოტდეკი; 7. ექოლოტი; 9. ტრუიზმი; 10. სარკე; 12. ვესტერნი; 16. ლაგოდეხი; 17. ენისელი; 18. პალეოლითი; 20. ტალანტი; 21. ფიტი; 22. დანსინგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. თაგორი; 2. მურმანი; 3. ალკარასი; 4. სიმფონია; 8. პერგამონი; 9. ამაშუკელი; 11. ბენზენა; 12. ქორო; 14. ორლი; 16. პროგრამა; 17. მონბლანი; 19. კრისნა; 21. რევიუ.

თარაზულად: 5. ფლემინგი; 6. ირიგაცია; 7. ბურჭულაძე; 10. ხარები; 13. გრაცია; 15. ფრიზერი; 18. კრეოლი; 20. ტალინი; 22. ჰეინეკენი; 23. ემბრიონი; 24. სიტროენი.

სამგლოვიარო განცხადებები



ქ. სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის პირველი საშუალო სკოლის 1966 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ, რომ გარდაიცვალა ჩვენი უსაყვარლესი, სათნო და კეთილშობილი თანაკლასელი

ზურაბ თოფურია

რომელსაც აუსრულებელ ოცნებად დარჩა მშობლიურ ქალაქ სოხუმში დაბრუნება.

სამძიმარს ვუცხადებთ ქალბატონ თამარ ბერულავასა და შვილებს თემურსა და თეას.

უფალს ვთხოვთ, არ მოაკლოს ღვთიური მადლი და ნათელი სასუფეველი შენს ლამაზ სულს!

შენი გარდაცვალებით დამწუხრებული თანაკლასელები

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

27 დეკემბერი

აშშ
დოლარი
— 2.7028

ევრო
— 2.8712

დიდი ბრიტანეთის
გირვანქა სტერლინგი
— 3.2628

100 რუსული
რუბლი
— 3.9030

ამინდის პროგნოზი 27 დეკემბრისათვის

ბარსელონა რაფინიას გაყიდვაზე ფიქრობს

ბარსელონა ბრაზილიელი ვინგერის რაფინიას გაყიდვაზე დაფიქრდა, რადგან ის ჯერ ბოლომდე ვერ ამართლებს მასზე გაცემულ ავანსებს. გარდა ამისა, ბარსელონას სურს ახალი შემტევის დამატება, რომელიც უფრო ახალგაზრდა იქნება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბარსელონა რაფინიას ზაფხულამდე აცდის, შემდეგ კი მის ბედს უკვე საბოლოოდ გადაწყვეტს.

ნეიმარი: „მინდა, პსჟ-სთან ერთად ტიტულები მოვიგო“

პსჟ-სა და ბრაზილიის ნაკრების ფორვარდმა ნეიმარმა საკლუბო ფეხბურთის განახლებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მას სურს ტიტულების მოგება და შეეცდება, სეზონის ბოლოს პსჟ-ს ტრიუმფატორი იყოს: „ყველაფერი ჩვენს ხელშია და მინდა, რომ გულშემატკივარმა იგრძნოს წარმატების გემო და სიხარული. როდესაც ასეთ დონეზე თამაშობ, შეცდომების დაშვების უფლება არ გაქვს“.

ანჩელოტი: „რეალი კარგ ფორმაშია“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ განაცხადა, რომ მის გუნდს შეუძლია, სეზონის ბოლოს ტრიუმფატორი იყოს და ტიტულები მოიგოს. ანჩელოტის თქმით, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ფეხბურთელები კარგ კონდიციებში იმყოფებიან: „მსოფლიო ჩემპიონატი დასრულდა და მალე საკლუბო ფეხბურთი დაიწყება. ჩემი ფეხბურთელები ოდნავ დაღლილები არიან, მაგრამ მათი ფორმით კმაყოფილი ვარ“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

48 წლის პენელოპა კრუსმა ჟურნალისთვის გაიხადა

ესპანელმა მსახიობმა და მოდელმა პენელოპა კრუსმა ჟურნალ Dust-ის საახალწლო ნომრის გარეკანისთვის სურათი წელს ზევით შიშველმა გადაიღო. შესაბამისი შავ-თეთრი გამოსახულების ფოტოსურათი ინსტაგრამში მის გვერდზე გამოქვეყნდა.

გამოქვეყნებულ კადრში 48 წლის მსახიობი ფოტოგრაფის წინ კამერისკენ ზურგშექცეული და შიშველ მკერდზე ხელებაფარებული პოზირებს. მას აცვია მაქმანებიანი საცვალი. ასევე ვიზაჟისტებმა მისი თვალები შავი ფანქრით გამოკვეთეს, სტილისტებმა კი თმა გაუშალეს და მხრებზე გადმოუფინეს.

პენელოპას რამდენიმე თაყვანისმცემელმა აღნიშნული ფოტო არ მოიწონა და კომენტარში აღნიშნა, რომ მსახიობი მასზე ძალიან გამხდარი გამოიყურება. თუმცა, ისეთებიც ბევრნი იყვნენ, რომელთაც ვარსკვლავის მიმართ ქების სიტყვები არ დაიშურეს. თავად ფოტოსურათმა კი ამ დროისთვის 143 ათასზე მეტი მოწონება მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

27 დეკემბრისათვის

ვერძი – დღის პირველ ნახევარში საქმეს მინიმალური ძალისხმევა დასჭირდება. პარტნიორებთან კონტაქტი გაამართლებს. ** კურო** – პროფესიულ სფეროში არ იაქტიუროთ. უმჯობესია, გაისეირნოთ ბუნების წიაღში, გაიფართოვოთ ცოდნის არეალი. **ტყუპები** – მოსალოდნელია ფინანსური სირთულეები. ამის მიუხედავად, ოპტიმისტურად განეწყვეთ. მალე სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ შეიცვლება. **კირჩხიბი** – მიზანს საკმაოდ სწრაფად მიაღწევთ. არ დაივიწყოთ ახლო ნათესავები. მათ თქვენი თანადგომა სჭირდებათ. **ლომი** – ბევრი საქმე გაქვთ. ბიზნესპარტნიორებთან ურთიერთობა არც ისე მარტივი იქნება, როგორც გგონიათ. **ქალწული** – დასვენება გჭირდებათ. გადაღლა ჯანმრთელობას გაგიუარესებთ. ეცადეთ, დახურულ სივრცეში დიდხანს არ დარჩეთ. **სასწორი** – სიამაყე და სიჯიუტე უსიამოვნებას შეგამთხვევთ. იყავით უფრო ლმობიერი და დამთმობი. **ღრიანკალი** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ძალიან მოგიხდებათ წყლის პროცედურები. ახალი ნაცნობობის შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური საქმიანობისათვის. ბედი გწყალობთ. **თხის რქა** – იფრთხილეთ, არავინ მოგატყუოთ. განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო ახალი ნივთის შეძენისას. **მერწყული** – თქვენს ნიჭსა და პროფესიონალიზმს ფართო გასაქანი ეძლევა. არ იზარმაცოთ. **თევზები** – დაუმთავრებელ საქმეებს ნუ დაიგროვებთ. კეთილისმყოფელი დღეა მოგზაურობისა და დასვენებისათვის.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

...

სავაჭრო ცენტრში პატარა ბიჭი დაიკარგა და ტირის. მოზრდილები მის დამშვიდებას ცდილობენ და ურჩევენ:

– დედის კაბის კალთას უნდა ჩასჭიდებოდი და ხელი არ უნდა გაგეშვა!

– ვცდილობდი, მაგრამ ვერ შევწვდი...

...

ზოოპარკში გალიასთან ქალი დგას და კითხულობს:

– ნეტა ეს გორილა ქალია თუ კაცი?

ამ დროს გვერდით მდგომი მამაკაცი ეუბნება:

– ლამაზო, კაცი ისაა, ვისაც ფული აქვს, ხოლო უფულო, უბრალოდ მამრია!!!

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– წარმოგიდგენია, სამსახურში ჩემმა უფროსმა გუშინწინ ლალისთვლიანი ბეჭედი მაჩუქა, გუშინ ძვირფასი ბეწვის ქურქი, დღეს კი ხელი მთხოვა.

– ნაძირალა, ეკონომია დაიწყო...

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– სულ ტყუილად ვიყავით იმის წინააღმდეგი, რომ ჩვენს გოგონას პირსინგი გაეკეთებინა.

– რატომ?

– რაც ცხვირზე რგოლი გაიკეთა, მისი დილით ლოგინიდან წამოგდება და სკოლაში გაშვება გამიადვილდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლელა წურწუმია დააჯილდოვეს

მომღერალი ლელა წურწუმია დააჯილდოვეს. იგი შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციის ჯილდოს მფლობელი გახდა.

მომღერალს პრიზი მის საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადაეცა.

მატილდა გვარლიანი წლის ახალ სახედ დასახელდა

ქართველი მოდელი მატილდა გვარლიანი მოდელ.ქომ-ის მკითხველმა „ამომავალი ვარსკვლავის“ კატეგორიაში წლის ახალ სახედ დაასახელა.

იგი მკითხველის ერთ-ერთი რჩეულია. წლის მოდელის მსგავსად, მატილდას მიერ გამარჯვებულ ნომინაციასაც მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა სამოდელო სფეროში. ამ მოდელების კარიერა მხოლოდ ბოლო რამდენიმე სეზონის განმავლობაში დაიწყო. როგორც მოდის ინდუსტრიაში ახალბედა, ამომავალმა ვარსკვლავებმა, მოკლე დროში მოაწყვეს სასურველი კამპანიები, შოუები მსოფლიოს წამყვან ბრენდებთან, შთამბეჭდავი სარედაქციო სამუშაოები და აპირებენ, ინდუსტრიაში წარუშლელი კვალი დატოვონ.

ერლომ ახვლედიანის შვილი გულის გადანერგვის მოლოდინში გარდაიცვალა

მწერალ ერლომ ახვლედიანის შვილი, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ოპერატორი ბაქარ ახვლედიანი გულის გადანერგვის მოლოდინში 34 წლის ასაკში გარდაიცვალა.

– დიდებულმა მწერალმა ერლომ ახვლედიანმა შვილი ჩაიხუტა მიღმიერში. თავის დროზე მკითხველთა ლიგელებიც გაერთიანდნენ მის გადასარჩენად, თუმცა განგებამ, სამწუხაროდ, სხვანაირად განსაჯა. ძალიან მწყდება გული, რომ ამ კეთილშობილი ადამიანის გადარჩენა ვერ მოხერხდა, თუმცა მადლიერი ვარ თითოეული თქვენგანის ძალისხმევის. ბაქარ, მშვიდად განისვენე, მეგობარო! – ნათქვამია ბაქარის მეგობრების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ფოლკლორის ცენტრმა ილია მეორის 90 წლის იუბილეს კონცერტი მიუძღვნა

ფოლკლორის ცენტრმა რუსთაველის თეატრში 2022 წლის საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის დასკვნითი კონცერტი გამართა და ის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაბადებიდან 90 და აღსაყდრებიდან 45 წლისთავს მიეძღვნა.

ხალხური მუსიკის, ქორეოგრაფიის, ზეპირსიტყვიერებისა და ტრადიციული გალობის გამარჯვებულებს მედლები და სიგელები გადაეცათ.

ომარ მხეიძე ქართული ცეკვის დაცვას ითხოვს

ანსამბლ „სუხიშვილების“ მოცეკვავე ომარ მხეიძე ქართული ცეკვის დაცვას ითხოვს და ღია წერილით კულტურის სამინისტროს მიმართავს:

– მინდა გამოვეხმაურო ჩემი უახლოესი მეგობრის, ქართული კულტურის ძალიან დიდი მოამაგის, ბრწყინვალე მოცეკვავის, ქორეოგრაფისა და ქართველის, ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მეტეხის“ ხელმძღვანელის, ბატონი გელოდი ფოცხიშვილის სტატიას, რომელიც ქართული ხალხური ცეკვების მიტაცებას ეხება.

დიდი გულისტკივილით ვეთანხმები გელოდის და მადლობას ვეუბნები მას ამ მეტად მნიშვნელოვანი თემის გააქტიურებისთვის.

მთელი კავკასია და არა მხოლოდ კავკასია იპარავს ქართულ ცეკვებს, ამ უდიდეს ქართულ საგანძურს, რომლის წარმატება ქართული ხელოვნების ვერცერთმა სხვა დარგმა ვერ გაიმეორა. მოგეხსენებათ, ლა სკალას თეატრის ფარდის დაშვებისა და აწევის რაოდენობის რეკორდი, რომლითაც თვით ლეგენდარული კარუზოს რეკორდი გავაუმჯობესეთ და დღემდე მისი მოხსნა ვერავინ მოახერხა, კვლავაც ანსამბლ „სუხიშვილებს“ ეკუთვნის და, საბედნიეროდ, ამ წარმატების ერთ-ერთი შემოქმედი და მონაწილე მეც გახლავართ.

უკვე მრავალი წელია, წარმატებით ითვისებენ ქართულ საგანძურს კავკასიური და არა მხოლოდ კავკასიური ქორეოგრაფიული კოლექტივები, ქართული ცეკვის ელემენტებით ამდიდრებენ თავიანთ ცეკვებს, არქმევენ სხვა სახელს და ასაღებენ თავისად.

მნიშვნელოვანია აღნიშვნა, რომ ეს პროცესი ახლა არ დაწყებულა, 15-20 და მეტი წლის წინაც მთელი სიმწვავით იდგა ეს საკითხი დღის წესრიგში. იმავე გელოდისთან და სხვა მეგობრებთან ერთად მაშინაც ხმამაღლა ვამბობდი და ახლაც ხმამაღლა ვამბობ, გამოვფხიზლდეთ, სანამ დროა და დავიცვათ ჩვენი ეროვნული საგანძური, თორემ გავა არცთუ ისე დიდი დრო და, რაც ყველაზე მეტად გულსატკენი და საგანგაშოა, შესაძლოა, ქართულ ცეკვას ქართული აღარ ერქვას.

ამ მრავალი წლის წინ დაწყებული სავალალო გულგრილობითა და უყურადღებობით რაც მეტი დრო გავა, უფრო და უფრო მეტად გაგვიჭირდება დავუმტკიცოთ, დავაჯეროთ მსოფლიოს, რომ ეს ჩვენი სიმდიდრეა, ქართული საგანძურია.

ამიტომ მივმართავ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს, რომელსაც პატივს ვცემ და ვიცნობ, როგორც ენერგიულ, ნიჭიერ, ქართული კულტურის მოამაგე ადამიანს.

გთხოვთ, ჩაერთეთ ქართული ცეკვის გადარჩენის პროცესში, დაგვეხმარეთ, რომ ქართული ცეკვა არ დავკარგოთ, კვლავაც ქართული ერქვას, რომ მომავალმა თაობებმაც იამაყონ ამ უდიდესი ეროვნული საგანძურით.

პატივისცემით, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ეროვნული პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი ომარ მხეიძე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხსვოხდი ↄ



შვეულად: 1. მოხეტიალე ილუზიონისტი ინდოეთსა და აზიის ქვეყნებში; 2. მთვარიანი ღამე; 3. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 5. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 6. სოფლის პოლიციელი ძველად; 8. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 11. ქართული მონასტერი ბულგარეთში; 13. მქრქალი, გამჭვირვალე ფაიფური; 14. ფრანგი მხატვარი, იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 15. გიგანტური აფრიკული ხე; 19. ესპანელი ფერმწერი.

თარაზულად: 1. ნაყალბევის შექმნა-გავრცელება; 4. ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი; 7. მაღალხარისხოვანი სპირტიანი სასმელი; 9. ავადმყოფური სიმპტომების დროებითი შესუსტება; 10. ამერიკული სამხედრო-მოიერაშე ვერტმფრენების სერია; 12. თანამედროვე მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 16. ყოველმხრივ უზრუნველყოფილი მდიდრული ცხოვრება; 17. ქორ-შევარდენთა გამწვრთნელი; 18. მდგომარეობა ჭადრაკში; 20. ზოგიერთი მცენარის მიერ გამოყოფილი ტკბილი წვენი; 21. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული; 22. ნავთობის საბადო კახეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა